ოთხშაბათი, 1918 წ. თებერვლის 21 ნ № 39

წელიწადი მეოთხე

ოთხშაბათი, 1918 წ. თებერვლის 21 ნ № 39

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოდ გამოგზავნილი მასალა უფასოდ იბეჭდება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

გაზეთის ფასი ერთის წლით 50 მ. 6 თვით 27 მ. 3 თვით 13 მ. 50 კ. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 4 მ. 50 კ. (ცალკე № 20 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=10 მანეთი, 20×2=13 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

გაზ. „საქართველოს"

კონტორის განყოფილება გაიხსნა

თამამშევის ქარვასლაში, ძმ. ფორაქიშვილების მაღაზიაში, სასტუმრო „კავკაზის" პირდაპირ. ღიაა დილით 9 საათიდან 3 საათამდე.

იქვე იყიდება „საქართველოს" 1915 წ. პრემია—„მერანი" და ღირს 2 მანეთი.

## საქართველოს ეროვნულ საბჭოს

თათბირი ხუთშაბათს 22 თებერვლის შუადღის 12 საათზედ

ახალი კლუბის დარბაზში გაიმართება

## კრება-მიტინგი.

მიტინგის საგანია: საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა და მობილიზაციის საკითხი. 1—917—2

ხუთშაბათს, თებერვლის 23

დანიშნულია

## ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა კრება

ქართული კლუბი

ქართული დრამა. წარმოდგენა № 36.

ვალ. შალიკაშვილის ბენეფისი

ხუთშაბათს 22 თებერვალს, 1918 წ. სასცენო და სალიტერატურო მოღვაწეობის 15 წლის შესრულების აღსანიშნავად ვალ. შალიკაშვილი გამართავს საიუბილეო წარმოდგენას, წარმოდგენილი იქნება მისივე 3-ესა

გადაჭრილი მუხა

4 მოქმ.

მონაწილეობენ—ქალნი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., ქიქოძე ა., იმერლიშვილი ა., შოთაძე ა., ჩერქეზიშვილი; ვაჟნი: ვალ. შალიკაშვილი, გვარამაძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარხნიშვილი ი., ომანელი გ., იმედაშვილი ა., ქუჩიძე ი., კობახიძე ი., მაჭარაძე ვ., ცაციშვილი ნ.

რეჟისორი ვალ. შალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 7½ საათზედ.

ბილეთები იყიდება. 1—915—1

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის

გამგეობა

აცხადებს, რომ კავშირის წევრთა მორიგი წლიური

საზოგადო კრება

დანიშნულია 1918 წლის მარტის 7 სათვის ქ. თბილისს, ქართული კლუბის შენობაში დღის 12 საათზედ

კრების საგანი:

1) არჩევა კრების თავმჯდომარისა და მდივნისა. 2) წარსული მოქმედების ანგარიში, 3) მომავალი ხარჯთ-აღრიცხვა, 4) წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლა. 5) სეზონების საკითხი, 6) კერძო მოხსენებანი, 7) არჩევა კავშირის საქმის თავმჯდომარისა და ორის წევრისა.

წევრთა საყურადღებოდ: ვისაც რაიმე მოხსენება აქვს კავშირის საქმის საზოგადო კრებამდე სამი დღით ადრე მაინც უნდა წარმოადგინოს. შემდეგში ყოველი განცხადება და მოხსენება საქმის შესახებ ამ საზოგადო კრებისათვის განხილული იქნება და არც თვით საზოგადო კრებას წარედგინება. 1—916—1

მწარმოებელთა კოოპერატივი,

„კახელ მევენახეთა კავშირთ-კავშირი"

ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მან უკვე მოაწყო წვრილად და ბითუმად (ბოჩკობით) მიწოდება საკუთარი

კახური ღვინით ვაჭრობა

წვრილად ღვინო იყიდება თბილისში გოლოვინის პრ. № 33 სახლი თამამშევისა ყოფილ „კუზნეცოვის" სარდაფში.

ბითუმად ღვინო იყიდება კახეთში კავშირთა-კავშირის განკარგულებაში გადასულ მეკავშირის სარდაფებიდან (ყოფილ საუფლისწულო) საწყობებიდან.

ფოსტით მისამართი: თბილისში. გოლოვინის პრ. № 33 კახელ მევენახეთა კავშირთა კავშირს.

კახეთში. წინანდლის მეკავშირის სარდაფი კახელ მევენახეთა კავშირთა კავშირს.

ტელეგრაფით მისამართი: Тифлисъ «Союзъ».
ან Велисцихе «Союзъ».

(3—1025—1)

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის სასარგებლოდ მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე

# საქართველოს ეროვნულ სხეულს განკვეთას უქადიან!

# გაუმარჯოს საქართველოს მთლიანობას!

ბრესტ-ლიტოვსკიდან რადიო დეპეშა მოვიდა: „შედარებით 21 თებერვლის (ახ. სტ.) ულტიმატუმთან ახალ პირობებს აქვს საულტიმატუმო ვადის ხასიათი. ამ მიზეზის გამო და აგრეთვე იმის გამო, რომ გერმანელები უარობენ ხელშეკრულების ხელის მოწერამდე შეაჩერონ სამხედრო მოქმედება, ჩვენ გადავსწყვიტეთ ხელი მოვაწეროთ იმ ხელშეკრულებას, რომელზედაც ეხლა ბჭობა სწარმოებს, ხელისმოწერის შემდეგ გამოვბრუნდებით ამიტომ ხვალისთვის მატარებელი მოვითხოვეთ. ყველაზე ხერხიანულ კამათს იწვევს 21 თებერვლის პირობები და რუსეთიდან

**ჩამოშორება არდაგანის, ყარსის და ბათომის ოლქებისა, თვითგამორკვევის უფლების სახით.**

საზავო დელეგაციის მდივანი კარახანი.

## ეროვნული თავდაცვისთვის

საქართველოს ეროვნულს სხეულს დაშლას და დანაწილებას უქადიან. საქართველოს არსებობას განსაცდელს უმზადებენ. ჩრდილოეთით და სამხრეთით ემუქრებიან ჩვენს მიწა წყალს, თავისუფლებას.

და ეს ჟამზე მომზადებამ გასაჭირმა გაერთიანოს სულიერად ქართველი ერი და აღუძრას მას მამულის სიყვარული და სამშობლოსთვის თავგანწირულება! გაერთიანებული ქართველი ერისთვის არ არის საშიში არც ჩრდილოეთის ვერაგობა და არც სამხრეთის მუქარა. საჭიროა ერთობა, ეროვნული ერთობა!

ასეთ ეროვნულის განწირულების ჟამს, როდესაც საფრთხე მოელის ერის ფიზიკურს არსებობას, როდესაც ჰკვეთენ დასახიჩრებენ მის ცოცხალს ეროვნულს სხეულს, ვინც პირადის ანგარიშით, ჯგუფური და კლასური მოსაზრებით ხელს შეუშლის ქართველი ერის გაერთიანებას ეროვნული არსებობის და მიწა წყლის დაცვისათვის, ის მოღალატე და გამცემია თავის ქვეყნის და მშობელი ერის!

ვინც ამ განსაცდელის ჟამს ქართველი ერის დაყოფას, დანაწილებას ქადაგებს, კლასთა შორის ბრძოლას და დავას სთესავს—მოღალატეა მთელი ერის, ყველა კლასის და ყველა ჯგუფის წინაშე!

საქართველოს და ყველა მის ნაწილებს, ქართველ ერს და ყველა მის ჯგუფებს და წრეებს მხოლოდ სულიერი გაერთიანება და შეკავშირება, სულიერი ძლიერება, სიმტკიცე და თავგანწირულება იხსნის!

მამულიშვილნო, სასოწარკვეთილება ნუ შეგიპყრობთ! საქართველოს მრავალი უფრო მწარე დღენი უნახავს. დღესაც შესწევს მას ძალა და ღონე თავის მიწა წყლის და არსებობის დასაცავად.

დაუყოვნებლივ საჭიროა მტკიცე ეროვნული მთავრობა, რომელიც ფეხზე დააყენებს ქართველს ერს თავის არსებობისა და მშობლიურ კერის დასაცავად.

დავივიწყოთ ძველი შეცდომები! დავივიწყოთ ამ განსაცდელის დამნაშავენი! გვახსოვდეს მხოლოდ, რომ ქართველ ერს თავზე ესხმიან და საჭიროა სამშობლო მიწა წყლის გაერთიანებული ეროვნული ძალ ღონით დაცვა!

გაუმარჯოს საქართველოს მთლიანობას და თავისუფლებას!

## ეროვნული განსაცდელი

შეშფოთდება თუ არა მთელი არსებით ქართველი ერი? იმ განსაცდელთან, რომელსაც მას უმზადებს რუსეთის სოციალისტური მთავრობა, არაფრად ჩაითვლება თვითმპყრობელ გვირგვინოსანთა ვერაგობა, საქართველოს უფლებათა გაუქმება, აბუჩად აგდება.

თვითმპყრობელი რუსეთი ავიწროებდა საქართველოს ეროვნულ უფლებებს, აბუჩად იგდებდა მის ენას, ზნე-ჩვეულებას. შავბნელი იყო ის დრო, მაგრამ მას ერთი ნათელი თან დასდევდა. რუსეთის ბატონობის დროს თანდათან შემოიკრიბა და გამთლიანდა საუკუნეთა განმავლობაში დასახიჩრებული, დაქუცმაცებული საქართველოს ეროვნული სხეული. ფიზიკურად გამთლიანებულს ერს რევოლიუციამ თავისუფლებაც მოანიჭა და ამის შემდგომ ქართველი ერის წინაშე უნდა გაშლილიყო თავისუფალი ეროვნული აღდგენის და აღორძინების ასპარეზი.

მაგრამ თავისუფალი რუსეთი მას დღეს განსაცდელს უმზადებს. საქართველოს არა მხოლოდ თავისუფლებას, მის ეროვნულს უფლებებს, არამედ თვით მის ფიზიკურ არსებობასაც სამარეს უთხრის რუსეთის რევოლიუციონური მთავრობა.

საქართველოს სხეულს შუაზე განკვეთას უქადიან და ერთ-ნახევარს ოსმალეთს უთმობენ.

სახელოვანი რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია, სალდათთა, მუშათა და გლეხთა საბჭოების მთავრობა ერთის კალმის მოსმით სცდილობს გაერთიანებულ საქართველოს არსებობის მოსპობას. ამ უხეშმა ძალამ, ამ ბნელმა სტიქიონმა დაასამარა თავის სამშობლო, მოსპო და გაანადგურა რუსეთის ეროვნული არსებობა. დღეს ეს ბნელი ძალა თავის სამშობლოს სასაფლაოზე და ნანგრევებზე სდგას და იქ რომ აღარაფერი დარჩენია მოსასპობი, გასანადგურებელი, სხვა ქვეყნებს აწვდის თავის ჯალათურ ხელებს. უკრაინა, ფინლანდია, საქართველო. ამათაც უქადის რუსეთის ბოლშევიკური მთავრობა გაუდაბურებას, როგორც მან გააუდაბურა თავისი სამშობლო.

განსაცდელს ჰკვეთავენ, სამარეს გვითხრიან, ჩვენს სამშობლოს მრავალი უნახავს ჭირიც და ლხინიც. ჩრდილოეთის ლეშმა და მძლავრი ვერ შესძლებენ საქართველოს მოსპობას და დასახიჩრებას, თუ საქართველო არის ქვეყანა ცოცხალი ერით დასახლებული და ქართველი ერი—ცოცხალი არსი.

საქართველოს დღეს ვერ დაიპყრობს ვერც ჩრდილოეთი და ვერც სამხრეთი რაც უნდა პირობები იწერებოდეს ლენინის ხელით. თუ აქვს ეროვნული დასახიჩრება და დამცირება უწერია, ამის მიზეზი იქნება თვით ქართველი ერი და არა ტროცკი თუ ვერაზანი! იმ საშინელს ბრძოლათა ცეცხლში, რომელიც მოელის მრავალს ერსა და მრავალს ქვეყანას უმნიშვნელოა თვით დიდი ლენინის ხელის წერილი და ყველაფერია თვით ერის ძალა თუ უძლურება, ეროვნული ერთობა, მთლიანობა, თუ გათიშვა, ურთიერთ ბრძოლა.

დღევანდელს განსაცდელის ჟამს საქართველოს იხსნის მხოლოდ ეროვნული ერთობა, სულიერი სიმტკიცე. თუ კიდევ გაგრძელდა ქართველი ერის სულიერად დაქსაქსვა, ბრძოლა და შუღლი, თუ არ შეწყდა სამოქალაქო ომი ჩვენი სოციალისტური უმთავრობობით გამოწვეული, თუ არ შეიქმნა მტკიცე ეროვნული მთავრობა და მის გარშემო არ შემოიკრიბა ყველა წრე და ყველა კლასი ეროვნული არსებობის დაცვისთვის, საქართველოს განსაცდელი არ აშორდება. თუ დაუყოვნებლივ არ შესდგა ძლიერი ეროვნული მთავრობა, რომელიც სასტიკის ზომებით ჩააქრობს საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში აღმოცენებულს სამოქალაქო ომს, კლასთა და ჯგუფთა შორის დათესილს მტრობას და შუღლს და მთელს ქართველს ერს გარს შემოიკრებს ეროვნული მიწა-წყლის და თავისუფლების დასაცავად, ქართველი ერი ვერ დაიცავს თავის ეროვნულს არსებობას.

ყოველმა ქართველმა უნდა შეიგნოს და განიცადოს მდგომარეობის სირთულე და სიმძიმე. ყველამ უნდა იგრძნოს პასუხის მგებლობა თავის ქვეყნის წინაშე. ყველაზე მეტად ეს ჰმართებს იმ მიმართულებას, რომელიც დღეს მთავრობას წარმოადგენს. დავივიწყოთ ძველი შეცდომები, მაგრამ ამ ეროვნულის განსაცდელისთვის პასუხისმგებლობიდან ქართველი ერი არავის გაანთავისუფლებს.

* * *

## სეიმი

### (შთაბეჭდილებანი)

ამიერ-კავკასიის სეიმი ვერ სტოვებს ხელმწიფებითი მძლავრობის შთაბეჭდილებას. თვითონ გარეგანი მისი სახე არ არის მაინცა და მაინც ურყეობის მაუწყებელი და ძალის დამაჯერებელი. ჯერ თვითონ დარბაზის ავსილობა: ცხრა მეათედს მაყურებელი შეადგენს. „თეატრალობა" თანდევს პარლამენტის მუშაობას,—მაგრამ ამ მხრით ამიერ-კავკასიის სანახაობას ტემპერამენტს ყოველი ზომისათვის გადუჭარბებია. შემდეგ: მეტად დამახასიათებელია პარტიულ ფრაქციათა ადგილების განწყობილება: პარტიის მარჯვენა სექტორი თითქმის სრულიად ცარიელია: ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი და რამოდენიმე კადეტი ალბად ამ მხარეს საშინელს „მარტოობას" განიცდიან. სამაგიეროდ მარცხენა სექტორი დარბაზისა სრულიად გაჭედილია: თანამედროვე ხანაში „მარცხენობა" პოლიტიკური იმედობის ერთნაირი იარლიყია,—და აი ამიერ-კავკასიის სეიმის წევრების ორმოცდა-ცხრამეტი პროცენტი „მემარცხენე" დროშით მოვლენილა. საპარლამენტო ცხოვრებაში შესაძლოა დანამდვილებით მივიღოთ შემდეგი მოვლენა: პარლამენტი მაშინ არის ურყევი და ძლიერი, როცა მასში ცენტრის მტკიცედ გაუდგამს ფესვები, მემარცხენენი მარჯვე ოპოზიციაში დგანან და მემარჯვენენი უკვე არსებულს მძლავრად ჩაჰკიდებიან. იქ კი, სადაც მარტოდ-მარტო მემარცხენენია გამეფებულნი, რაღაც იქვე გებადებათ: ან ძლიერ ნაკლული უნდა იყოს ასეთი პარლამენტი, ან და სრულიად „შემთხვევითი", სხვადასხვა „გარემოების" მიხედვით გახსნილი.

ამიერ-კავკასიის სეიმის სხდომაზე მოგვიხდა დასწრება, როცა პარტიების ფრაქციათა წარმომადგენლები პოლიტიკურ დეკლარაციებს კითხულობდენ,—და მიუკერძოებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ დეკლარაციების „ტონმა" (ჩვენ მოგვისმენია მხოლოდ ხუთი დეკლარაცია: მენშევიკების, მუსავატის, დაშნაკცუტიუნების, ესერების და მუსულმანთა სოციალისტური ბლოკის) სრულიად ვერ დაგვაკმაყოფილა. მენშევიკების წარმომადგენელი ბ-ნი ნოე ჟორდანია საზოგადოდ მეტყველი არ არის, ბუნებრივად მისი მეტყველება კიდევ უფრო უმწეო,—მაგრამ ეს მაინც და მაინც დეკლარაციისათვის საჭირო არ არის: უკანასკნელისათვის უფრო სავალდებულოა პოლიტიკური „ტონის" საჭიროება,—და სწორედ ეს აკლდა ჟორდანიას განცხადებას. მთელი ოცი წლის ბოლშევიკების წინააღმდეგ დოქტრინალი მტკიცება იმისა, რომ თანამედროვე „საქონლის წარმოების" ხანაში შეუძლებელია რაიმე ზომების მიღება ერთბაშად სოციალისტური წყობილების განხორციელებისათვის,—ეს სრულებით არ შეეფერება პოლიტიკური დეკლარაციის ხასიათს: —საზოგადოდ დეკლარაციაში სოციალ-პოლიტიკური რომელიმე დოქტრინის პოპულარული გადმოცემა სრულიად ამახინჯებს დეკლარაციის ღირსებას. ჟორდანიას მოჰყვა მუსავატის წარმომადგენელი. მის დეკლარაციაზე დამახასიათებელი მაინცა და მაინც არაფერი ითქმის. მესამე მოდეკლარაციე დაშნაკცუტიუნების მხრით ბ-ნი კაჩაზნუნი გამოვიდა. დაშნაკცუტიუნების სახელი რომ არ ეხსენებინათ, ბ-ნი კაჩაზნუნი უცილოდ ბოლშევიკი გეგონებოდათ: ისეთი გაბრწყინებული სოციალისტური ფრაზეოლოგია ძვირად თუ შეგხვდებათ რომელიმე ფანატიკოსის ცხელ-ცხელ ბროშიურაშიაც კი. ხოლოდ ტაქტის დარღვევით მეოთხე მოდეკლარაციემ ყველას გადააჭარბა: ეს გახლდათ ესერების წარმომადგენელი ბ-ნი ლორთქიფანიძე. სანამ თვითონ დეკლარაციას (დაწერილს) წაიკითხავდა, ერთი წამი იმის მტკიცებას მოანდომა, რომ ესერების პოლიტიკური პროგრამა გაამართლა რევოლიუციის მსვლელობამ. მისი სიტყვა მიტინგზე დაუჯერებულს ბაქიაობას უფრო ჰგავდა ვიდრე დარბაისელს სასეიმო სიტყვას. ერთი სიტყვით, დეკლარაციებში „პროვინციალი" კილო საშინლად სჭარბობდა.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი: „პროვინციალობა" არსებითაც გამოიხატა. ამიერ-კავკასია, როგორც ყოფილი ადმინისტრატიული პროვინცია რუსეთის სახელმწიფოსი, დღესაც, რუსეთის სახელმწიფოს შემდგომ, ფსიხოლოგიურად სეიმის წევრების ათვისებაში „პროვინციად" გამოიყურებოდა. სიტყვები: „ჩვენ არ ვიცით რა ვართ", „რუსეთის ერთი დემოკრატიული რევოლიუციური ფრონტი", „ჩვენი არსებობა დამოკიდებულია სხვებზე" და სხვა,—ყველა ეს ზემო აღნიშნულს ადასტურებს. სეიმის დეკლარაციებში (ჩამოთვლილებში) აკლდა საჭირო სუვერენობის ხასიათი. ამ მხრით სხვებზე უფრო მაგარი სიტყვა მუსავატის წარმომადგენელმა წარმოსთქვა.

დეკლარაციების შინაარს მკითხველებს გაზეთები გადასცემენ უეჭველად: —აქ არ არის ადგილი მათთვის გადმოსაცემად. აღსანიშნავია მხოლოდ ერთი ფრიად საინტერესო მოვლენა. დეკლარაციების წარმომთქმელნი მშვენივრად ნამდვილს სოციალურს გეგმას უშლიდნენ წინ: დემოკრატიული ზავი ოსმალეთთან (უთუოდ უანექსიო და უთუოდ უკონტრიბუციო!) მამულების ჩამორთმევა ნორმის გადამეტი და მშრომელი მასისათვის დარიგება (ამას მუსავატის წარმომადგენელიც აცხა-

დებს)!, ფედერატიული რესპუბლიკა, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება, ეროვნებათა თავისუფლება და სხვა და სხვა,—ერთი სიტყვით, ყველაფერი, რისი ნატვრაც ამ ჟამად სოციალურ ტემპერამენტს შეუძლია. მაგრამ აქ ერთი კითხვა იბადება: რა უშლით მათ ხელს აქ წარმოთქმულის განხორციელებაში?! ისინი ხომ სეიმის ოთხმოც-და-ცხრამეტს პროცენტს წარმოადგენენ?! რევოლუციონერობაში, სოციალისტობაში და დემოკრატობაში ისინი ხომ ერთი მეორეს სჯობნიან?! წვრილმანი ჩასათვალი არ არის,—საერთო ლოზუნგები ხომ სწამთ: ეროვნებათა თავისუფლება, მიწის თითქმის სოციალიზაცია, ყოველმხრითი დემოკრატიზაცია?! და „საერთოთ“ რომ შეთანხმდენ, მაშინაც ხომ დიდათ სასურველს რამეს მიიღებენ?! მაშ რა უშლით ხელს?! შესაძლოა ხალხთა მასსა?! მაგრამ ისინი ხომ მასსის მიერ არიან არჩეულნი დემოკრატიული ფორმულით?! მაშ რაშია საქმე?! ამ კითხვას ალბათ სეიმის კონკრეტი მომავალი გადასწყვეტს სავსებით. ჩვენ კი მის გადასაწყვეტად ერთი მოვლენის მითითება მიგვაჩნია მართებულად: სახელდობ ის, რომ „რევოლუციონერობას“, „სოციალიზაციას“, „უადრეს დემოკრატიას“ და სხვა სიტყვებს ფეტიშის სახელი აქვთ მიღებული:—ფხიზელსა და ღრმა სინამდვილეში მათ არც ისე აქვთ ფესვში გადგმული, რომ, როგორც ეს მრავალს დოქტრინიორს ჰგონია და როცა ეს „სიტყვები“ სინამდვილეს ეხებიან „საქმეში“ გადასასხმელად, მაშინ გამოდის, რომ სინამდვილე უფრო რთული და სხვა ყოფილა, იგი ვერ ეტევა გაზეპირებულს ფორმულებში,—და სიტყვა სიტყვად რჩება და საქმედ. აქ მარხია მემარცხენეთა უძლურება, ვნახოთ მემარცხენე სეიმი ამიერ-კავკასიის აიცდენს თუ არა ამ საფთხეს.

გიგო გოდელიძე.

# ქართული პრესა

## სოციალდემოკრატები და ჯარის დისციპლინა

გაზეთი ერთობა სწერს;

ჯარის მოგროვება ყოვლად უსარგებლო იქნება, თუ ახლავე, საჩქაროთ არ გადაწყდება ერთი, მეტად მწვავე საკითხი.

ბალშევიკური სენი, როგორც გადამდები სნება, ჩვენ ჯარებშიაც გაჩნდა. სამხედრო მაცადინეობის მიტოვება, ქუჩებში უსაქმოთ ყიალი, რევოლიუციონური მთავრობის ბრძანების ასრულებაზე უარისთქმა დაუკითხავად სოფლათ წასვლა, იქ მშვიდობიან მცხოვრებთა შეწუხება, აქა-იქ დარბევის მოხდენა და საზოგადო ქონების გატაცება,—აი დღევანდელი მდგომარეობა ქართველი მხედრობის ერთი ნაწილისა.

მეხუთე პოლკში ისეც კი გაკადნიერდენ, რომ როცა იქ ამ დღეებში მოსალაპარაკებლად მივიდა მთელ რუსეთში ცნობილი რევოლიუციონერი, რევოლიუციონური მთავრობის წევრი, ამ პოლკის გალოთებულმა სალდათებმა შეურაცხყოფა მიაყენეს.

დამეთანხმეთ, რომ ასეთ პირობებში სამხედრო სამსახურში გამოწვევას არავითარი აზრი არ ექნება, თუ ახლავე არ მოისპო ჯარის დამრღვევი პირობები და აღდგენილი არ იქნა დისციპლინა.

დისციპლინა სასტიკი და ულმობელი ყველა სფეროში, გარდა საოჯახო საქმეებისა (ჩაცმა-დახურვა, სასმელ-საჭმელი, ფურაჟი და სხვა), რომლებიც უნდა მიენდოს ჯარის ნაწილებში არჩეულ კომიტეტებს.

დისციპლინა—ეს ის დუღაბია, რომელიც შეიარაღებულ ხალხს მჭიდროთ აკავშირებს, ძლიერ ერთეულს ქმნის, ერთი სულით და ერთი მიზნით გაჟღენთილს.

უდისციპლინოთ შეიარაღებული ხალხი მხოლოდ ბრბოა, მტრისთვის უძლური და თავისიანებისთვის საშიში.

დისციპლინის გაგონებაზე ალბად ბევრი ამხანაგთაგანი დაფრთხება, უეჭველად პირზე მოადგება სიტყვა „კონტრ-რევოლიუციური ზომა“.

ხშირათ მესმის, „რევოლიუციური“ დისციპლინა უნდა იქნესო.

უნდა გამოვტყდე, არ მესმის, რა არის ეს „რევოლიუციური დისციპლინა“.

ვიცი მხოლოდ, რომ ყველაზე უფრო ბევრს ყვიროდენ „რევოლიუციურ დისციპლინაზე“ ბალშევიკები: ეს გამოიხატებოდა უფროსების არჩევნებში, ოფიცრებისა და სალდათების გათანაბრებაში, პაგონების აყრაში, მარჩილების მოსპობაში და სხვა.

მაგრამ რა შედეგი მოჰყვა ასეთ დისციპლინას, ახლა ყველა ხედავს. რუსეთის გაშიშვლება მტრის წინაშე და სამშობლოს მუხანათური გაცემა გერმანიის კაპიტალიზმის სასარგებლოთ,—აი ასეთ დისციპლინის ნაყოფი.

ჩვენს ქვეყანაში კი ჩვენი საკუთარი თვალით ვხედავთ, რას წარმოადგენს ჩვენი „რევოლიუციური“ ჯარი.

თუ „რევოლიუციურ დისციპლინათ“ იგულისხმება ნებაყოფლობით დამორჩილება და თავის მოვალეობის ასრულება, მე ეს არ მწამს. ყველა გმირი და რაინდი როდია. უმეტეს შემთხვევაში პირადი ინტერესები და ქვენა ზრახვანი ფარავს უმაღლეს ხალხის საზოგადო ინტერესს, და სწორეთ ასეთ პირებისთვის არის საჭირო ხალხისგან დადებული დისციპლინა, როგორც სავალდებულო საშუალება, რომელიც ხალხის მხდალ და პირად ინტერესებით გატაცებულ შვილთ აიძულებს ხალხს ემსახურონ საჭირო დროს.

ყველგან არის დისციპლინა ჯარში: საფრანგეთში, ინგლისში, ამერიკაში, იტალიაში, ბელგიაში.

არ ვიცი, ჩვენ რადა შევიქენით, ნუ თუ იმათზე, იქაურ რევოლიუციონურ დემოკრატიაზე, უფრო ჭკვიანები გვგონია ჩვენი თავი, ისე, როგორც ლენინმა და ტროცკიმ წარმოიდგინეს, ევროპის დემოკრატიას ჭკუას ვასწავლითო.

პარტია არ არის ჯართან შედარებით და აქაც კი დისციპლინა არის გამეფებული, დისციპლინა იძულებითი, რომლის დამრღვევს მოსდევს განსაზღვრული სასჯელი (შენიშვნა, პარტიიდან გაძევება).

რუსეთის რევოლიუცია თუ იმ თავითვე დისციპლინა შეასუსტა, ამას თავისი მიზანი ჰქონდა: უნდოდათ სალდათობა აფიცრებისგან მოეწყვიტათ, იმ აფიცრებისგან, რომლებისაც რევოლიუციას ეშინოდა, მეფეს მხარს დაუჭერენ და მის ტახტს აღადგენენო.

ბოლშევიკებმა თუ დისციპლინა სრულიად მოსპეს, ეს მხოლოდ იმიტომ რომ ამ დემაგოგიის წყალობით ხალხს თავზე წამოესკუპებოდენ. ჩვენში დღევანდელ პირობებში არც ერთ ამ მოსაზრებას ადგილი არა აქვს.

აქ მე არ მეგულება კონტრ-რევოლიუციონერი ოფიცრობა. პირიქით, მე ვხედავ, რომ დღეს-დღეობით, ყოველ კრიზისის დროს, უმთავრესად ოფიცრობის ერთი ნაწილი მაინც ასრულებს უსიტყვოთ რევოლიუციონურ დემოკრატიის ყოველ ბრძანებას.

მაშ ასე, ჩვენ ჯარში დისციპლინის აღდგენის საკითხი დღიურ წესრიგში უნდა დაისვას და საჩქაროთ გადაწყდეს.

უამისოთ ჯარის მოწვევა, მხოლოდ საზარალო იქნება: ჯარისკაცთ სამუშაოს მოვწყვეტთ და ხალხის მუქთა-ხორა სარჩენად გავხდით.

ამ წერილს „ერთობა“ შენიშვნას უკეთებს—რედაქცია ავტორს თავის აზრის გამოთქმის საშუალებას აძლევსო. ჩანს ასეთი რამ უდავო აზრებიც ჯერ კიდევ სადავოდ მიაჩნია ჩვენს სოციალ-დემოკრატიას. ეს გასაკვირველი არ არის. ჯარების დაშლასა და მათში დისციპლინის აღმოფხვრაში მათ მცირე წვლილი არ შეუტანიათ.

# ზავის გარშემო

## ზავი ოსმალეთთან

### ოსმალთა მოლაპარაკება ბოლშევიკებთან

**პეტროგრადი.** იანვრის 28. რუს-ოსმალთა დელეგაციის სხდომა თებერვლის 8-ს. სხდომა დაიწყო ოსმალთა დელეგაციის თავმჯდომარე ხაკი-ფაშას განცხადებით. მან აღნიშნა, რომ ოსმალთა დელეგაციას ჰსურს წარუდგინოს რუსის დელეგაციას საზავო ხელშეკრულების სრული პროექტი. მაგრამ ამისათვის, დასძინა ხაკი-ფაშამ, საჭიროა გაცნობოთ ინფორმაციულ ხასიათის ზოგიერთი ცნობები. ჩვენ ზოგიერთი პროვინციებიდან ისეთი ცნობები მოგვდის, რომლებიც მოწმობენ, რომ რუსეთსა და ოსმალეთის შორის დადებული დროებით ზავის პირობები ირღვევა. რუსი ჯარი ზურგისკენ იხევს. მათ მიერ გაწმენდილ სამხედრო ტერიტორიას იჭერენ შეიარაღებული ბანდები. ესენი კი ყოველგვარ საშინელებას არ ერიდებიან. ოსმალთა პროვინციები ამ ჟამად რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებიან და ისინი იმ სახით უნდა დაუბრუნდეს, რა სახითაც დაიჭირეს. შემდეგ იგი აღნიშნავს იოფეს განცხადებას საერთოდ რუსის ჯარის ოსმალეთის პროვინციებიდან გაყვანის შესახებ. ხაკი-ფაშა პროტესტს აცხადებს იმის შესახებ, რომ რუსის ჯარი სტოვებს ტერიტორიას სხვა და სხვა ეროვნულ ჯგუფების ხელში, ეს უკანასკნელნი კი ამა თუ იმ ტერიტორიაზე პრეტენზიას აცხადებენ.

### კავკასიის საკითხი

ოსმალთა დელეგაცია უარჰყოფს იმ ხმებს, ვითომც ოტომანის სახელმწიფოს განეზრახოს რაიმე ხელშეკრულებათა დაწერა კავკასიის ერებთან. მართლაც, ამბობს ხაკი-ფაშა, მეტად საინტერესოა ვიცოდეთ, თუ ვის ეკუთვნის კავკასია? მას შემდეგ რაც შევიტყვეთ, რომ კავკასია რუსეთს ეკუთვნის? თუ ვიცანით რომ კავკასიის მთავრობის დამოუკიდებლობა, მაშინ იმ დეკლარაციას, რომელიც ტროცკის წარუდგინეთ ოტტომანთა დელეგაციის სახელით, მნიშვნელობა არ ექნებოდა, რადგან იმ დეკლარაციით ჩვენ ვსთხოვთ რუსის მთავრობას აასრულოს თავის მოვალეობა. მაგრამ თუ ტროცკის ჰსურს სთქვას, რომ კავკასიაში არსებობს დამოუკიდებელი მთავრობა, რომელიც რუსეთის მთავრობას არ ემორჩილება,—მაშინ სხვა არის და ამის შესახებ ჯერ კიდევ ვიფიქრებთ.

### მთავრობის დეპეშის გადაცემა

ლაშქრის შტაბის უფროსი ვიშინსკი, 18 თებერვალს ამიერ-კავკასიის კომისარიატს დეპეშით ატყობინებს: სარიყამიშში რადიოსადგური ჯერ არ გამართულა. დეპეშა მალე გადაეცემა ბანაკში ვეჰიბ ფაშას. ტრაპიზონში გადაცემა შეუძლებელია ფრონტის გამო.

18 თებერვალს, ბათომიდან ციხის კომენდანტი ქუთათელაძე დეპეშით ატყობინებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს: ტრაპიზონთან მისვლა-მოსვლა შესწყდა რადიოსადგურის უქონლობის გამო. დღეს გამოვა მმუსვრელი და წამოიღებს ამიერ-კავკასიის მთავრობის დეპეშას გენ. კოლოსოვსკისთვის ხელში გადასაცემად.

## ზავი გერმანეთთან

### ცენტრალ კომიტეტის დადგენილება

ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტმა 11 ხმით(?) 35-ის წინააღმდეგ (ორმა თავი შეიკავა) დაადგინა: მიიღოს მძიმე საზავო პირობები, რომლებიც ულტიმატიურად წამოგვიყენა გერმანეთის მთავრობამ; ამან კიდევ უფრო მძიმე საზავო პირობებში ჩაგვაგდო. ორ კვირის შემდეგ საზავო პირობები საბოლოოდ უნდა იქნას დამტკიცებული ორივე მხარის მიერ.

სამხედრო რევ. კომიტეტში კენჭის ყრამ, ადგილობრივ საბჭოების გამოძახილმა, ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ტელეგრაფით შეკითხვამ გამოაშკარავა, რომ საბჭოს წევრთა შორის დიდი უთანხმოება არის. რუსეთის რევოლიუციის ამ ძირითად საკითხის შესახებ ამხანაგების ერთი ნაწილი მოითხოვს საზავო პირობებზე ხელის მოწერას, რათა ამით, უდიდეს დათმობათა ფასით, ცოტათი დავისვენოთ; ამით ისარგებლებს რუსეთისა და საერთაშორისო პროლეტარიატი, რათა ძალ-ღონე მოიკრიბოს უკეთეს პირობებში იმპერიალიზმთან საბრძოლველად. მეორე ნაწილი მოითხოვს ნუ მოვაწერთ ხელს საზავო ხელშეკრულებას და ახლავე ომი გამოუცხადოთ გერმანელ იმპერიალისტებს. საზავო პირობებში რუსეთის რევოლიუციის ჩაკვლა და საერთაშორისო რევოლიუციის ლახვარის ჩაცემაა. ასეთ პირობებში აღნიშნულ საკითხის გადასაჭრელად ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საჭიროდ სცნობს მოიწვიოს მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და ყაზახთა დეპუტატების საბჭოთა სასწრაფო ყრილობა. ყრილობა დანიშნულია ქ. მოსკოვში 12 მარტს. ცნობებისათვის უნდა მიმართონ მოსკოვის დეპუტატთა საბჭოში, ყრილობის მომწვევ ცენტრ. აღმ. კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროში. წარმომადგენლობის ნორმა ისეთივეა, როგორიც მე-2 და მე-3 მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა და მე-2 გლეხთა დეპუტატების ყრილობაზე იყო.

სრულიად რუს. ცენტ. აღმ. კომ.
2 მარტი (ახ. სტ.) 1918 წ.

### სახალხო კომისრების საბჭოს დადგენილება

**პეტროგრადი.** რადგან გერმანეთის მტაცებლები განაგრძობენ პეტროგრადისკენ წამოსვლას სახალხო კომისრების საბჭომ დაადგინა განაგრძოს მთელი ძალ-ღონით თავდაცვა და ევაკუაცია. მიიღოს საჭირო ზომები აფეთქებულ იქნას ყველაფერი, რის გატანასაც ვერ მოასწრებენ პეტროგრადიდან. თუ იქ ნემცები მოვლენ, არ უნდა ჩაუვარდეთ მათ ხელში არც ერთი იარაღი, არც ერთი ყუმბარა, არც ერთი გირვანქა სპილენძი, არც ერთი ნამცეცი პური, იმ დაწესებულების უფროსი, რომლის მიზეზით მტერს ხელში ჩაუვარდება რაიმე, იქვე უნდა დახვრიტონ.

სახალხო კომისრების საბჭო.

### პირობებზე ხელის მოწერა

**პეტროგრადი.** დღეს, დილის 7 საათზე ოფიციალური ცნობა მივიღეთ, რომ ჩვენმა დელეგაციამ გუშინ, 3 მარტს, სადამოს 5 ს. ზავის პირობებს ხელი მოაწერა. დელეგაცია ეხლა გზაშია. ზავის პირობების ტექსტი დელეგაციის დაბრუნებისთანავე გამოქვეყნდება. პირობების უკანასკნელი დამტკიცება მოხდება მარტის 17-ს (ახ. სტ.) იმისდამიხედვით მუშათა, გლეხთა და ყაზახთა დეპუტატების საბჭოს სრულიად რუსეთის ყრილობის გადაწყვეტილებისა, რომელიც მოხდება მოსკოვში მარტის 12 ს.

ლენინი და ტროცკი.

# ომი

## ოსმალეთის შემოტევა

### თებერვლის 17

არზრუმის მიმართულებით, ალაჯის დასავლეთით ოსმალთა მეწინავეები და მცირე ქვეითა რაზმები მოქმედობენ. ვანისა ხნისის მიმართულებით პროხუსის რაიონში ოსმალთა და ჩვენს მზვერავებს შეტაკება მოუხდათ. ჩვენ მზვერავებს ნაწილები მივაშველეთ. სადამოთი პრხუსი ავიღეთ. მოგვაკლდა 2, დაგვეჭრა 6. ოსმალები და ქურთები კორმუჯისკენ წავიდნენ. ვანის ფლოტილიამ ადილჯევანსა და ახლატს სროლა აუტეხა.

### ტრაპიზონში

ტრაპიზონში თებერვლის 14, ჯარების გადასხმის დროს ნავთსადგურთან ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლი ყუმბარების საწყობებზე გადავიდა. მრავალი აფეთქდა. დაშავდა 300 კაცი. მეორე დღეს ცეცხლი ჩაქრა. რუს-ოსმალთა კომისია უკვე შეუდგა ტრაპიზონში დარჩენილ ქონების ოსმალთა ხელში ჩაბარებას.

### თებერვლის 18.

18 თებ. თარიღით გენ. ვიშინსკი შემდეგს ატყობინებს არზრუმიდან ამიერ-კავკასიის კომისარიატს: კორჩმის რაზმი ილიჯაში მოვიდა სადგ. კორჩმიდან გამოჩნდენ ცხენოსანი ქურთები, რომლებიც ჩვენს მოწინავე რაზმთან შეტაკების შემდეგ იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ. ხნისის მიმართულებით, სოლიუკის ხიდთან თურქების პარლამენტიორმა გაიწვია ჩვენი ოფიცერი და შეკითხვა მისცა, თუ რატომ არ ვიხევთ ჩვენ უკან. პარლამენტიორის განცხადებით, თურქებს უკვე შეუკრავთ საზავო ხელშეკრულება ბოლშევიკებთან, რომლის თანახმადაც ჩვენ უნდა დავიხიოთ სარიყამიშისაკენ; იარაღი და სამხედრო მასალები კი თურქებს უნდა დაუტოვოთ.

### დასავლეთის ფრონტი.

**გერმანელთა ბანაკის ცნობა.**

**ბერლინი.** მარტის 2 (ახ. სტ.) რეიმსის აღმოსავლეთით პომპელის ფრონტში ჰესსენის ნაწილები შეიჭრნენ. ჩრდილო-დასავლეთით ბადენისა და ტიურენბერგის ჯარებმა აიღეს უკანასკნელი თხრილები ტაგიურის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

მაასის დასავლეთით რეიმსის ნაწილებმა საკუტის სამხრეთით მტრის თხრილები დაიჭირეს. ხელთ ვიგდეთ 400 ტყვე.

ზანბერიეის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი ქვეითა ჯარი მტრის თხრილებში შეიჭრა. ამერიკელი ნაწილები საშინლად დამარცხდნენ.

### გერმანელების შემოტევა

### რადიო ტელეგრამა ბერლინიდან

**ბერლინი.** 2 მარტი. დასავლეთის ასპარეზი. რეინელები და ვესტფალელები შეიჭრნენ მოწინააღმდეგის პოზიციებში. პარიზიდან ჩრდილო-დასავლეთით ბადენის და ტიურინგენის ჯარებმა აიღეს თხრილები ტაგიურის აღმოსავლეთით. მაასის დასავლეთ ნაპირებზე რეინელებმა აიღეს პასკუის სამხრეთით მდებარე ადგილები. ჩვენმა ნაწილებმა წამოიყვანეს 400 ტყვე.

ჰერცოგ ალბრეხტის ლაშქარი მაასის მოზელის შუა, ზაპერეის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ქვეითი ჯარი შეიჭრა მტრის თხრილებში. ამერიკელები დიდად დაზიანდნენ. ეისგორნის ლაშქარი. ეხტლანდიაში და ლიფლიანდიაში სამხედრო ოპერაციები ვითარდება. ჩვენ დავიჭირეთ გომელი.

თებერვლის 7.

სევასტოპოლიდან მოვიდა გერმანელების შემდეგი რადიო: 20 თებერვალს (ახ. სტ.). რიგა-პეტროგრადის რკინის გზის ორივე მხარეზე ჩვენმა ჯარებმა გადალახეს რუსეთის თავდაცვითი ხაზი, ჩვენი ძველი ხაზიდან 20 კილომეტრის მანძილზე. მტრის წინააღმდეგობა გავტეხეთ. ჩვენმა ჯარებმა დვინსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით წაიწიეს დვინსკისა და ლუცკს შუა. ჩვენი დივიზიები ფართო კოლონებით მიიწევენ ლუცკისკენ. ჩვენი რაზმი როვნოსკენ მიიწევს. წამოვიყვანეთ 2500 ტყვე, წამოვიღეთ რამდენიმე ასეული იარაღი და ბევრი სამარი მასალა.

პოლიფილოტი.

თებერვლის 10

**პეტროგრადი.** თებერვლის 23 (ახ. სტ.) გუშინ გერმანელებმა აიღეს გაპსალ და ვენდენი. ველკაში ბრძოლაა. სადგური კორსოვკა გერმანელების ხელშია.

**დასავლეთის ფრონტი**

დასავლეთის ფრონტზე ბორისოვი და პოლოცკი ჩვენს ხელშია. მინსკის აღმოსავლეთით მდებარე ადგილები კოვლიბობრისკის ხაზით მტრის არ დაუჭერია.

**ჩრდილოეთის ფრონტი**

ჩრდილოეთის ფრონტზე მეზღვაურები, ლატიშები და წითელგვარდიელები მტერს აჩერებენ. გერმანელი ჯარისკაცები უარს აცხადებენ შემოტევაზე.

### ესკადრის წამოსვლა

**პეტროგრადი.** თებერვლის 20. (ახ. სტ.) გერმანელების ესკადრა, რომელიც ლიბავასთან იდგა, ზღვად გაემგზავრა და ჩრდილოეთის მიმართულებით მიდის. ესკადრაში შედის რამოდენიმე დრედნოუტი, მრავალი ნაღმოსანი და ტრალერი. იუწყებიან აგრეთვე, რომ თებერვლის 20-ს დანციგიდან ჩრდილოეთისკენ გაემგზავრა 10 ტრანსპორტი გერმანელების ჯარით.

### მე-12 ლაშქარი.

მე-12 ლაშქრის წარმომადგენელმა განაცხადა რომ 600.000 კაციდან 35—40 ათასი მეომარი ღა დარჩა. დანარჩენები დიდიხანია გაიქცნენ. იარაღის გადასაზიდად გემები დაიჭირეს. ბატარეები თოვლმა დაზიანა. სურსათის საქმე კი კარგადაა, რადგანაც ლაშქარს 600.000 კაცის სურსათს უგზავნიან.

**გაზეთის და პარტიის საორგანიზაციო საქმე არა ჩვეულებრივ ხარჯებს მოითხოვს. ყოველი პარტიის წევრი ვალდებულია პარტიას ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს.**

# უკრაინა

## დეპუტატთა საბჭოების ყრილობა

პეტროგრადულ გაზეთების ცნობით, უკრაინის საბჭოს ცენტრალი კომიტეტი აღიარებულია უმაღლეს ძალად. მიღებულია ფედერატიული კავშირი რუსეთთან, აგრეთვე საშინაო და საგარეო საქმეების წარმოება სახალხო კომისართა საბჭოსთან შეთანხმებით. სამხრეთ-დასავლეთის და რუმინეთის ფრონტის სამხედრო რაზმები თავ-თავად დაიშალნენ. ორთავე ფრონტის წარმომადგენლებმა უმაღლეს ხელისუფლებად აღიარეს სრულიად უკრაინის ცენტრალი კომიტეტი და სახალხო კომისარიატი კიევში ამ ჟამად ხსნის სრულიად უკრაინის დეპუტატთა საბჭოების ყრილობას. თანხმობას აცხადებენ შემდეგი გუბერნიები: ხარკოვისა, ეკატერინოსლავისა, კიევისა, პოდოლისა, ხერსონისა, პოლტავისა, ჩერნიგოვისა, დონის ბასეინი, ოდესა, ნიკოლაევი, ახალი ქალაქები, შავი ზღვის ფლოტი, უკრაინის ფრონტი და ზურგი. ყრილობას იწვევს და გახსნის სრულიად უკრაინის ცენტრალი კომიტეტი.

### კიევის აღება

უკრაინის დედა ქალაქი კიევი უკრაინის და საქსონიის ჯარმა გაანთავისუფლა.

## უკანასკნელი დეპეშები

თებერვლის 19-ის თარიღით ბათომიდან რადიო ტელეგრამით მოსულ ცნობის მიხედვით, კონსტანტინეპოლში უკვე მიუღიათ ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარის დეპეშა ოსმალეთთან ზავის შესახებ და პასუხი გამოგზავნილი იქნება.

—

თებერვლის 17-დან სარაყამიშში განახლდა სამგზავრო ბილეთების გაყიდვა და ბარგის მიღება გასაგზავნად.

—

თებერვლის 17-ს, როგორც ერევნიდან იტყობინებიან, სომეხთა ჯარებსა და თათრებს დიდი შეტაკება მოხვლიათ ერთმანეთს [illegible] ხანლუხ, კამარლუხა და ახამზელუში. ჯარებს თათრები უძლევიათ და გაუდევნიათ. დაჭრილ-დახოცილი ბევრია

—

სადგ. შახტახტის თათრები თავს დაესხნენ. ორი დღის განმავლობაში ბრძოლა სწარმოებდა. ჯარმა ქალაქი დასტოვა. თათრებმა ქალაქი დაარბიეს. ქალაქთა კავშირის საწყობები განადგურებულია.

—

ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორების გამო მოსკოვში გამართა დიდი მშვიდობიანი დემონსტრაცია, რომელსაც დაესწრო ნახევარ მილიონამდე მცხოვრები დაესწრო.

თებერვლის 16-ს წასულ ეშელონებს თებერვლის 18-ს დილიდან საღამომდე დიდი ბრძოლა ჰქონია გაჯას სადგურში თათრებთან. ეშელონები ბრძოლით იკაფავდნენ გზას. ეშელონთა დანაკლისი არ იციან. თათრების მხრივ ბევრია დახოცილი. სადგურის მოსამსახურენი ძლივს-ძლივობით იფარავდნენ თავს. მოკლულია მემანქანის თანაშემწე პერეგუდოვი და მძიმედ არის დაჭრილი კონდუქტორი ერისთავი. რკინის გზის რამდენიმე შენობას და კერძო შენობებს ეშელონებმა ცეცხლი წაუკიდეს. აგრეთვე გაძარცვეს სასურსათო პუნქტი.

**ტექნიკურ დაბრკოლებების გამო ჩვენი გაზეთის სამი უკანასკნელი ნომერი არ გამოსულა.**

# ქრონიკა

## თბილისი.

◆ **კათალიკოსის ავადმყოფობა.** სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მამათ, თებერვლის 17 მოულოდნელად ავად გახდა. ამ ჟამად მათი უწმიდესობა უკეთაა.

◆ **გ. ძალაქიშვილის მოკვლა.** თებერვლის 19-ს დღის 1 საათზე თბილისის ქალაქის მოურავმა ნ. ელიავამ კავკასიიდან პირდაპირი მავთულით შეატყობინა თბილისის საგუბერნიო სასურსათო გამგეობას: დღეს, დილის 8 საათზე, კავკავში, სასტუმრო „ევროპა“-ში მოჰკლეს თბილისის საგუბერნიო სასურსათო გამგეობის წევრი გ. გ. ძალაქიშვილი. მიზეზი მკვლელობისა ჯერ გამოურკვეველია. ცხედარს დღეს მოასვენებენ კავკავიდან საქართველოს სამხედრო გზით. პირველი პანაშვიდი გადახდილ იქნება განსვენებულის ბინაზე (კუნიბის ქუჩა № 44 საღამოს 6 საათზე.

◆ **სეიმის კანცელარიის უფროსი.** სეიმის კანცელარიის უფროსად მოუწვევიათ ი. ა. შუმახერი.

◆ **ქართველი ლტოლვილები.** ამ ჟამად თბილისში ბლომად იმყოფებიან ქართლიდან გამოქცეული თავად-აზნაურები და მათი ცოლ-შვილი, რომელნიც ბნელი ძალებისაგან აწიოკებას და დახოცვას გამოექცნენ. უმეტესობა ლტოლვილებისა მეტად გაჭირვებულ და აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება და ქართველ საქველმოქმედო საზოგადოებას დახმარებას სთხოვენ.

◆ **გაზეთი „საქართველო“** 20 თებერვლიდან თბილისში და პროვინციაში ეღირება 30 კაპ. ხოლო რკინის გზის სადგურებზე 35 კაპ.

◆ **სწავლის დაწყება.** თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლა დაიწყება 5 მარტს; ყოველი სემინარიელი, რომელიც კი თავისუფალია სამხედრო ბეგრისაგან, ვალდებულია გამოცხადდეს სემინარიაში აღნიშნულ რიცხვს; იმათ, ვისაც არ შესრულებია ჯერ 19 წელი და სამხედრო სამსახურში მსახურებენ თავისუფლად მოხალისეებად, უნდა წარმოუდგინონ სემ. ნაწილის მმართველობას შესაფერი მოწმობა სამხედრო ნაწილის უფროსისაგან; ვინც სწავლის დაწყების შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში არ გამოცხადდება სემინარიაში უპატივსადებო მიზეზით გამო, გამორიცხულ იქნება სემინარიიდან.

◆ **ღვინით ვაჭრობა.** პრესაში აღნიშნული იყო თავის დროზედ, რომ 1917 წელს ზაფხულში დაარსდა კახელ მევენახეთა კავშირთა კავშირი, რომელშიაც ამ ჟამად უკვე 17000 წევრი-წარმოებელი ითვლება. კავშირთა კავშირმა თბილისში შეიძინა ყოფილი კუზნეცოვის ფირმა და მოაწყო ვაჭრობა. კახეთში კი კავშირთა კავშირისთვის დაუთმიათ ყოფილი საუფლისწულო მამულის სარდაფები მუკუზანში და ზევანში, სადაც ამ ჟამად გროვდება ღვინო.

◆ **ლაზარეთების დახურვა.** კავკასიის ფრონტის მთავარსარდლის განკარგულებით თბილისში იხურება ქალაქთა კავშირის ლაზარეთები №№ 27, 38, 43, 44 და 45, წითელი ჯვრის № 32. რომელიმე ლაზარეთში საწოლების რიცხვი შემცირებულ იქმნება.

◆ **სამუნიციპალო ბიბლიოთეკა.** კავკასიის ქალაქთა კავშირის აღმასრულებელმა ბიურომ დაადგინა კავშირის კომიტეტთან მოაწყოს საცნობო ბიბლიოთეკა, რომელშიაც თავს მოუყრიან სხვა და სხვა წიგნებს საქალაქო საქმეებზე. წიგნების შესაძენად გადადებულ იქმნა 7 ათასი მანეთი.

—

◆ 1917 წ. თებერვლის 19 გრიგოლ ვეშაპელმა აუწყა საქ. ერ.-დემ. პარტიის მთავარ კომიტეტს, რომ იგი თავს ანებებს გაზეთ „საქართველოს" რედაქტორობას.

თანახმად გ. ვეშაპელის განცხადებისა მთავარმა კომიტეტმა გაანთავისუფლა იგი რედაქტორობისაგან.

—

◆ **შუამდგომლობა საავადმყოფოს გახსნის შესახებ სოფლად.** დავით ნახუცრიშვილმა ჯანმრთელობის სექციას შუამდგომლობით მიმართა, რომ სოფ. ხაშმში საავადმყოფო გახსნან 10 საწოლით, ერთი ექიმით და ბებია ქალით.

## ახალქალაქი.

◆ **არეულობა.** ქალაქში უწესრიგობამ ისევ იჩინა თავი. ერთად-ერთი აფთიაქის გამგეს ილია ალხაზიშვილს თვითგასამართლებით მოუნდომეს, მაგრამ ციხეს შეაფარა თავი.

## ცხინვალი

◆ **შეწირულება.** ანეტა ფარსადანოვის ასულმა და გარეგინ ოვანოვმა მათი თაოსნობით გამართულ წარმოდგენის შემოსავლიდან ხუთი თუმანი გადასცეს ცხინვალის მომავალ საფეიქრო სასწავლებლისათვის. მეორე წარმოდგენის მოთავეებმა: შალვა კვანჭახაძემ და გრიშა მეზურნიშვილმა ამავე საფეიქროსათვის თერთმეტი თუმანი და ორი აბაზი გადასცეს.

## ტუაპსე

◆ **შავი ჭირი.** ქალაქში მძვინვარებს სხვა და სხვა ავადმყოფობა, სხვათა შორის შავი ჭირი და სახადიც. ავადმყოფთა რიცხვი ქალაქში მცხოვრებთა ნახევარს შეადგენს. სხვა და სხვა ავადმყოფობასთან ბრძოლა იმით ძნელდება, რომ ქალაქში აუარელი ჯარი სდგას და მათი გამგზავრება უგზოობის გამო ჯერჯერობით შეუძლებელია. ამას გარდა ქალაქს აუარებელი გადმოხვეწილი ბერძენი მოაწყდა.

## საზოგადოებანი და კრებები

◆ **საპროფესიო სკოლების მასწავლებელთა კრება.** ხუთშაბათს, თებერვლის 22-ს, საღამოს 5 საათზე, ეროვნული საბჭოს დარბაზში დანიშნულია თბილისში არსებულ ყველა დარგის საპროფესიო ქალთა და ვაჟთა სკოლების მასწავლებელთა კრება.

## სასურსათო საქმეები

◆ **სურსათი.** თებერვლის 20-ს საგუბერნიო სასურსათო გამგეობას არავითარი სურსათ-სანოვაგე არ მოსვლია. კაცის თავზე სამი მერვედი გირვანქა პურის ძლივს კარგა ხანს გასტანს კიდევ.

## ეროვნული საბჭო

◆ **ჯანმრთელობის სექციის სხდომა** დანიშნულია თებერვლის 21-თვის, საღამოს 7½ საათ.

◆ **განათლების სექციის სხდომა.** შესდგება ხუთშაბათს, თებერვლის 22, საღამოს 5 საათზე.

## პარტიული ცხოვრება

◆ **მთავარი კომიტეტის კრება.** დღეს, საღამოს 5 საათზე, დანიშნულია ერ.-დემ. პარტ. მთავარი კომიტეტის კრება. განსახილველია ზავის საკითხი, ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის მოხსენება და სხ. მორიგი საკითხები. სავალდებულოა ყველა წევრის დასწრება.

◆ **ერ.-დემ. სტუდენტთა კრება.** ხვალ, ხუთშაბათს, საღამოს 5 საათზე მთავარ კომიტეტში დანიშნულია ერ.-დემოკრატ სტუდენტთა კრება. განსახილველია ფრიად საჭირო საკითხები და ამხანაგებსა ვთხოვთ უსათუოდ დაესწრონ.

## სოხუმის ამბები

სარწმუნო წყაროებით გვაცნობებენ, რომ 18 თებერვალს, ბოლშევიკების ნაღმოსანმა ქალაქს სროლა აუტეხა. წითელგვარდიელებმა პოზიციები დაიჭირეს მთებზე და ნაღმოსანს სროლით უპასუხეს. სარევოლუციო კომიტეტი ნაღმოსანზე გადავიდა და ბრძანებას იქიდან იძლევა. ამ ჟამად სროლა შეწყდა და მოლაპარაკება გამართეს.

## განჯის ამბები

რკინის გზის კომიტეტის საუბარი განჯასთან. 18 თებერვალი 4 ს. 30 წუთი. განჯიდან 3 ვერსის მანძილზე ეშელონები დადგნენ და სროლა ასტეხეს. ჯარისკაცები სადგურის შემოვლას სცდილობენ. სადგურს დიდი საფრთხე მოელის. მაჰმადიანთა ინტელიგენცია დიდად ცდილობს ქალაქის ხსნას. ფერშლები და ექიმები სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად წაიყვანეს. როგორც სჩანს თათრები უკან იხევენ. ყოველივე ღონისძიებას ვხმარობთ, რომ ბრძოლა არ მოხდეს სადგურზე. ეშელონები კერძო სახლებს ეხვევიან. თავდაცვის გარანტია არა გვაქვს. ტელეფონი არ მოქმედობს. 300 ვერსის მანძილზე დგას ეშელონი. 7 უკან მოსდგეს.

## აქსტაფაში

18 თებერვალს დილის 10 საათზე აქსტაფიდან რკინის გზის სადგურის უფროსი იტყობინება დეპეშით ჯავშნოსან მატარებლის უფროსის განკარგულებით, ვითხოვ არც ერთი მატარებელი არ გამოჰგზავნონ თბილისიდან ბაქოში ახალ ცნობის მიღებამდე. ბოჟორაშვილი. დეპეშამ დაიგვიანა, რადგანაც ეშელონები უკვე გზაში იმყოფებოდნენ. მიუხედავად წინდაწინვე გაფრთხილებისა, დღის 1-ლ საათზე, განჯიდან 3 ვერსის მოშორებით ეშელონი საფრთხეს წააწყდა. იქვე გამოცვივდნენ სანგრებიდან თათრები და საშინელი სროლა ასტეხეს. ბრძოლამ მკაცრი ხასიათი მიიღო. დამატებითი ცნობები ჯერ არ მოსულა.

## ქართველ მხედართა პროტესტი ქართლის ამბების გამო

ჩვენ, ქართულ ცხენოსანი ბატალიონის ჯარისკაცნი და ოფიცრები, ჩვენის უფროსის პოდპოლკოვნიკის ვ. აბესაძის თანდასწრებით შევიკრიბეთ და ვიქონიეთ მსჯელობა ქალაქ ქუთაისში და გორში მომხდარ უწესოების შესახებ, აგრეთვე იმ ზოგიერთ ქართულ პოლკის ჯარისკაცებზე, რომელთაც თავიანთი უზნეო და უსინდისო მოქმედებით ჭუჭყი მოსცხეს ქართულ ჯარებს და საერთოდ ქართველ ერს. ამიტომ დავადგინეთ: „ზიზღი გამოუცხადოთ მათ, როგორც სამშობლოს და რევოლუციის მოღალატეებს". ჩვენ ქართული ბატალიონის ჯარის კაცნი ფიცსა ვსდებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის შევებრძოლოთ იმ ჯარისკაცებს და საზოგადოდ მათ, ვინც-კი გაჰბედავს უწესოება ჩაიდინოს ქალაქებში თუ სოფლებში. დადგენილება ესე ეცნობოს ქართულ ეროვნულ საბჭოს და ქართული კორპუსის უფროსს, რათა ეთხოვოს, თუ საჭიროება მოითხოვს სამშობლოსა და სისხლით მოპოვებულ თავისუფლების მოწინააღმდეგეთა შესაბრძოლებლად მოგვიწოდონ ჩვენ. ჩვენ კი მზათა ვართ პირველ თქვენს დაძახებისთანავე თქვენთან გამოვცხადდეთ.

**გაზეთი და პარტიის საორგანიზაციო საქმე არა ჩვეულებრივ ხარჯებს მოითხოვს. ყოველი პარტიის წევრი ვალდებულია პარტიას ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს.**

## ჩემი დღიური

IX შევასრულოთ ჩვენი კაცობრიული ვალი!

ხალხის ნაძირალებმა და ომიდან დაბრუნებულმა ჯარის-კაცებმა აიკლეს მთელი გორის მაზრა, დაწვეს, დაანგრიეს ოჯახები, მთელი სახლობები, დახოცეს იმ მსგავსად, როგორც ჰხოცავენ ფრინველს, საქონელს და ამ ბარბაროსული მოქმედებით ჭუჭყი მოაცხეს ჩვენს საქართველოს და რევოლუციის წითელ დროშას.

რადგანაც სწორედ რევოლუციის იდეალი იმაშია რომ ყველა ადამიანიშვილს მიეცეს შველა, ყველას გაუსწორდეს დაუჭკნობელ ცხოვრების გზა...

კარგი, ჩამორთვეს მამულები, აჰყარეს ხარისხი.

## „საქართველოს" კონტორა

**აცხადებს, რომ 20 თებერვლიდან გაზეთი ეღირება თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. ხოლო რკინის გზის სადგურებზე 35 კაპ.**

სუყველანი ვართ მოქალაქეები!

ეგრე იყოს რევოლუციონური ბრძანება და ამ ბრძანებას სუყველა დაემონავა, არავინ არ გამოუცხადა პროტესტი.

თავის გულში სთქვეს:

— ეგრე იყოს! ვიმუშაოთ, როგორც გვიმუშავნია და შრომით ვიცხოვროთ.

მაგრამ რაც დარჩათ მათ—რაც არის სუყველაზე ძვირფასი ნივთი—სიცოცხლე, ბარბაროსებმა—ისიც კი წაართვეს, არ შეიბრალეს არც მოხუცი, არც ახალგაზრდა ქალი, არც უსუსური ბავშვი.

— დავხოცოთ! დავხოცოთ! ისმოდა ტკაცი-ტკაცის შუა ორფეხა ნადირების ხმა.

და შეასრულეს კიდეც!

როცა იმათ სახლებს სძარცვავდნენ და სწვავდნენ, ისინი ბნელს ღამეში წისქვილის ღარის ქვეშ იდგნენ—თავი იქ შეაფარეს, რადგან სოფელს ეშინოდა იმათი მიღება. ან ეყარნენ ღობის ქვეშ ამ ცივ ყინულიან ზამთრის ღამეს...

თავის დროზე, როცა ცოტათ მაინც დამშვიდდება, ამ საგანზე ბევრი დაიწერება, ამ ჟამად ჩვენ თვალწინა დგას ერთი საკითხი:

რა ვუყოთ ამ საცოდავებს? ამ ტანჯულ ადამიანიშვილებსა? ამათ უნდათ ბინა, უნდათ ტანისამოსი, უნდათ ლუკმა პური.

ვითომ ესენი ირიან გამოქცეულები აჭარლების მსგავსად.

შველა ჯერ-ჯერობით შეიძლება ფულით.

არა მგონია, იყოს ისეთი მკითხველი, რომ ამათთვის არ გაიმეტოს ცოტა მაინც! ვითომც მომხდარა მიწის ძვრა!

როცა შემახა დაიღუპა მიწის ძვრით, მოსკოვიდან ერთმა მხატვარმა ქალმა გამოგვიგზავნა 15 მ., — დაზარალებულ ხალხს გადაეციო!

მოსკოვი! შემახა!

რა საშინელი მანძილია!

სულ სხვა რჯული! სხვა ტომი—რუსი და სომეხი!

ნუთუ ჩვენ კი ახლო ღვიძლები ამ დაზარალებულ ხალხთან არ შევალთ მათს საშინელ გარემოებაში?

თავადი! გლეხი! აზნაური!

სულ ხომ ადამიანიშვილები ვართ!

თუ ეს არის ჭეშმარიტი—

— შევასრულოთ ჩვენი კაცობრიული ვალი!

ვუშველოთ იმათ, რომლებსაც გუშინ ჰქონდათ თავისი ჭერი! თავისი ქოთანი—ლობიო! თავისი კაბა, თავისი ჩერქესკა! დღეს კი ძლივ თავი შეაფარეს სხვის ოჯახებში!

— ვუშველოთ!

იმათ, ვინც გადარჩა და სიკვდილის მონატრული გახდა... სიმწარით!

დ. ვედრებისელი.

# ამიერ-კავკასიის სეიმი

## თებერვლის 15-ის სხდომა

სხდომას ხსნის ნაშუადღევის ორის ნახევარზე თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე. იგი აუწყებს დამსწრეთ, რომ დღეს უნდა გარჩეულიყო ზავის საკითხი, მაგრამ რადგან ზავის შესახებ საზავო კომისიას მოხსენება არ დაუმთავრებია, ამიტომ დღეს ზავის საკითხი გარჩეული არ იქნება.

შემდეგ გადასწყდა, რომ სხდომას მოესმინა ფრაქციათა დეკლარაციები.

## ფრაქციათა დეკლარაციები

### მენშევიკების დეკლარაცია

**ნ. ჟორდანია.** მოქალაქენო და სეიმის წევრნო! მენშევიკების ფრაქციამ და მაჰმადიანთა ს.-დემოკრატიულ ორგანიზაციამ დამავალა შემდეგი ვსთქვა. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ამიერ კავკასიის კომისარიატი გადადგა. ჩვენ კომისარიატის გადადგომა მივიღეთ. აქედან კი გამომდინარეობს, რომ ჩვენ უნდა შევქმნათ ოლქის ახალი მთავრობა. ამისთვის საჭიროა პროგრამა. ჩვენ, მენშევიკები, ვფიქრობთ, რომ ამ პროგრამას ჩვენ შევქმნით ფრაქციების დეკლარაციებიდან. აქამდე დემოკრატია ხელმძღვანელობს ორი თვალთსაზრისით—ბოლშევიკურით და მენშევიკურით. ეს ორი მიმდინარეობა ებრძვის ერთი მეორეს. სავალალო იქნებოდა, რომ გვეფიქრა, ვითომც ეს რევოლუცია სოციალიზმთან მიგვიყვანდეს. წავიდა ის დრო, როდესაც ვფიქრობდით, რომ ყოველ დროს შესაძლებელია დამყარება ამა თუ იმ წესწყობილებისა. ჩვენ ვიცით ისტორიიდან, რომ ფეოდალიზმის ნანგრევებიდან შეიძლება დაარსდეს ბურჟუაზიული წესწყობილებისა. ხოლო შემდეგ ბურჟუაზიული ნანგრევებიდან დაიბადება სოციალიზმი. მეტი გზა არ არსებობს და ამ გზას ვერავინ ვერ ასცდება. თუ ჩვენ ამ ჭეშმარიტებას ვუღალატებთ, მაშინ რევოლუციის ნაცვლად რეაქციას მივიღებთ, თუ ჩვენ ძალით დავაჩქარებთ რევოლუციის სოციალიზმის განხორციელებას, მაშინ ჩვენ რევოლუციის ნაცვლად სოციალურ ანარქიას მივიღებთ.

ჩვენ ისიც ვიცით, რომ ეს რევოლუცია ვერ გაანთავისუფლებს შრომას კაპიტალიდან. ამ რევოლუციას შეუძლიან შექმნას მომავალში შრომის განმათავისუფლებელი პირობები. ჩვენ გვეჯეროდა ეს და ამ გზით მივდიოდით. მაგრამ ბოლშევიკებმა ეს გზა უარჰყვეს. მათ ცეცხლის და ანარქიის ალში გაახვიეს რუსეთი, ხელი შეუწყვეს ძარცვა-გლეჯას და რუსეთი სხვა და სხვა დამოუკიდებელ ოლქებად დაჰყვეს. სხვებთან ერთად ჩვენც მოვსწყდით ცენტრს. მაგრამ ჩვენ ვფიქრობდით, რუსეთის მთლიანობა მალე აღდგენილი იქნებოდა, მაგრამ გერმანეთის ზავის პირობებმა სულ ერთიანად მოგვწყვიტა რუსეთს. დღეს ამიერ კავკასიის სეიმმა საკუთარი ძალებით ამიერ-კავკასია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკად უნდა აქციოს. ამიტომ სეიმი უნდა იყოს დაწესებულება კანონ-მდებლობითი და დამფუძნებელი. მაგრამ ყველა ამისთვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა ზავის შეკვრა ოსმალეთთან. მაგრამ უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ სამარცხვინო ზავს ხელს არ მოვაწერთ. ჩვენ ასეთ ზავს სახელოვან სიკვდილს ვამჯობინებთ. (მხურვალე ტაში) თქვენ იცით, რომ ჩვენში ანარქია ძლიერდება, ანარქია ჩვენში იმიტომ გაძლიერდა, რომ ჩვენ ხალხის სურვილი ვერ გავიგეთ. ჩვენში ჯერაც გადაუჭრელია მიწის საკითხი. ჩვენ უნდა დაუყოვნებლივ სამართლიანად გადავსჭრათ მიწის საკითხი. მიწები მშრომელ გლეხობას უსასყიდლოდ უნდა დავურიგოთ. არც მუშათა საკითხში გაგვიკეთებია ბევრი რამ, ჩვენმა ასეთმა დაყოვნებამ ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მუშებში ნიადაგი ჰპოვა ბოლშევიზმმა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კაპიტალის არსებობამდე შრომის განთავისუფლება შეუძლებელია. ჩვენთვის ძვირფასია მუშათა ინტერესები, მაგრამ კაპიტალის არსებობაც აუცილებელია. ამიტომ ჩვენი გზა იქნება გზა შემაერთებელი კაპიტალს და შრომის შუა. ეს გზა მეტად ძნელი გზაა, მაგრამ ჩვენ ამ გზით უნდა ვიაროთ.

**ეროვნულ საკითხს** ჩვენში ორი მხარე ჰქონდა. 1 დამოკიდებულება ცენტრთან. 2 დამოკიდებულება ამიერ-კავკასიის ერებთან. დღეს პირველი მხარე თავისთავად მოიხსნა. ჩვენ ყოველთვის რუსეთისაკენ ვიწევდით, მაგრამ ჩვენ მას ხელი ვეღარ გავუწოდეთ. ეროვნული საკითხის მეორე მხარე კი გადაჭრას თხოულობს. ჩვენ უნდა შევუთანხმდეთ ამიერ-კავკასიის სხვა ერებთან. რუსეთის რევოლუცია ყოველ ერს უფლებას აძლევს თვით გამორკვევისას. ამიტომ ჩვენ უნდა ვიწამოთ ერთა თანასწორობა და უნდა ვიცხოვროთ ისე, რომ სხვას არ ვუშლიდეთ. თავის თავად ცხადია, რომ ყოველ ერისთვის აუცილებელია ტერიტორია. ამიერ-კავკასიაში არც ერთს ერს არ აქვს ისეთი ტერიტორია, რომ იქ სხვა ერის შვილები არ ცხოვრობდნენ. ამიტომ უნდა მოვაწყოთ კანტონური მართვა-გამგეობა, ისე რომ უმცირესობა უმრავლესობის მიერ არ ჩაგრებოდეს.

**ფინანსური მხარე** გამწვავებულია. ხმარებაში აუარებელი ქაღალდის ფულია. ფულის ფასი კი დაცემულია. ამიტომ უნდა ვიღონოთ რამე, რომ ფული ხაზინის ხელში გადავიდეს. ეს მოხდება მაშინ თუ გამოცხადდება მონოპოლია სურსათის, ფულის ღირებულობის ასაწევად უნდა მოვჭრათ ოქროს ფული. უნდა მოვახდინოთ მონასტერ-ტაძრების ოქრო-ვერცხლის კონფისკაცია და ამით ფული მოვსჭრათ. ყველა ამათი განხორციელება შეიძლება მაშინ, თუ გვეყოლება ძალა. ამისთვის კი აუცილებელია ჯარი.

**ჯარი** უნდა იყოს არა ეროვნული, არამედ ტერიტორიალური და უნდა ემორჩილებოდეს სეიმს. ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ მომავალში ჯარში გავატაროთ დემოკრატიული პრინციპი და მუდმივი ჯარი მილიციით შევსცვალოთ.

მე გითითებთ ჩვენს გზას და მოგიწოდებთ ამ გზით სიარულს.

### „მუსავატების" დეკლარაცია

**ადიევი.** სეიმი უნდა ვაქციოთ დამფუძნებელ კრებად. სეიმმა უნდა გადასჭრას პირველ ხარისხოვანი საკითხები, როგორიცაა მაგალითად საკითხები ომის, ზავის, მიწის, მუშათა და ეროვნული. ჩვენ მოვითხოვთ ზავს უანექსიო და უკონტრიბუციოს. მთელი მიწა უსასყიდლოდ მშრომელ გლეხობას უნდა გადაეცეს. ეროვნულ საკითხში ჩვენ გვაქვს ჩვენი გზა და ჩვენ ამ გზით ვივლით. ეს გზა არის გზა შეთანხმების მეზობელ ერებთან და გარანტია სხვა ეროვნებათა უმცირესობის უზრუნველყოფისა. ჩვენ მომხრე ვართ ფედერაციის და მოვითხოვთ ტერიტორიალ ავტონომიას აზერბეიჯანისას. ჩვენ გვწამს რომ სეიმი ღირსეულად გადაჭრის ეროვნულ საკითხს. ამიერ კავკასიის მთავრობა კოალიციონური უნდა იყოს. მხოლოდ ასეთ მთავრობას ძალუძს ანარქიის მოსპობა.

### „დაშნაკცუტუნ"-ების დეკლარაცია

**კაჩაზნუნი.** სეიმმა უნდა გადასჭრას ზავის საკითხი. ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო, მაგრამ ასეთმა ზავმა უნდა შექმნას ავტონომიური ოსმალეთის სომხეთი. ადგილობრივი მთავრობა უნდა იყოს ერთფეროვანი—სოციალისტური. მიწის საკითხი უნდა გადაიჭრას კერძო საკუთრების მოსპობით. უნდა შემოღებულ იქმნას 8 საათის სამუშაო დღე, ქარხანა-ფაბრიკები და კაპიტალი საზოგადოების კუთვნილებად უნდა გამოცხადდეს, მრეწველობა-ვაჭრობაზე უნდა დაწესდეს თვალ-ყურის დევნება. ამიერ-კავკასია რესპუბლიკად უნდა გამოცხადდეს და ეროვნული საკითხი მეზობელ ერებთან შეთანხმებით უნდა გადაიჭრას.

### ესერების დეკლარაცია

**ლორთქიფანიძე.** ჩვენ უნდა ვეცადნეთ რომ აღდგენილ იქმნას სრულიად რუსეთის მთლიანი ფრონტი. რუსეთის რევოლუციამ თავის მსვლელობა გამარჯვებით უნდა დაამთავროს. ესერების პარტია ყოველთვის მხარს დაუჭერს მიწის სოციალიზაციას. ეროვნული საკითხი უნდა გადაიჭრას ისე, როგორც ესერების პარტია ქადაგებდა. სეიმი უნდა იყოს წარმომადგენელთა შემადგენლობა ტერიტორიალურ ავტონომიურ საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის. სრულიად რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ რუსეთში დააწესა ფედერაცია და მოსპო კერძო საკუთრება. ეს მუხლები სეიმისთვის სავალდებულო უნდა იყოს. სხვა საკითხების გადასაჭრელად თვითეულმა ერმა უნდა მოიწვიოს საკუთარივე ეროვნული დამფუძნებელი კრება.

### მაჰმადიანთა სოციალისტურ ბლოკის დეკლარაცია

**დამაროვი.** პირველი საკითხი ეს ზავის საკითხია და უნდა ჩამოგდებულ იქმნას ზავი უკონტრიბუციო და უანექსიო. მიწა უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს მშრომელ დემოკრატიას. რევოლუციამ ყველა ერები გაანთავისუფლა და ყველა ერმა თავისუფლად უნდა მოაწყოს თავის ცხოვრება. ეროვნულ საკითხის გადასაჭრელად აუცილებელია კანტონური სახელმწიფოებრივი წესწყობილების დამყარება.

### ს.-ფედერალისტების დეკლარაცია

**გ. ლასხიშვილი.** მე უნდა ვაღიარო, რომ დიდ აღფრთოვანებას განვიცდი, რომ დიდი ყრილობის ტრიბუნიდან ვლაპარაკობ. ბავშობისას ვფიქრობდი, რომ ასეთ ბედნიერებას ვერ მოვესწრობოდი. მე ვამაყობ, როცა ვხედავ ჩვენი პარტიის იდეალების გამარჯვებას. ს.-ფედერალისტთა პარტია ქვეყნიერების მომავალს ერთა თავისუფალ კავშირზე ამყარებდა. დღეს ეს კავშირი ამიერ-კავკასიაში ხორციელდება. სეიმმა ჯერ-ჯერობით უნდა გადასჭრას საერთო საკითხები როგორც მაგალითად ზავი ოსმალეთთან და მთავრობის დაარსება. ჩვენ უნდა შევქმნათ ძლიერი მთავრობა და არც ერთი მთავრობა არ იქნება ძლიერი თუ იგი ეროვნული არ იქნება. აგრარული საკითხი უნდა გადაიჭრას საჩქაროდ, მაგრამ ყოველი ერის მიწის საკითხი ყოველი ერის დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასჭრას. ყველაზე უფრო ღირს-შესანიშნავი საკითხი, ეს ამიერ-კავკასიის საკითხია. სეიმის წევრნო, თქვენ უნდა ამიერ-კავკასია რესპუბლიკად გამოაცხადოთ. სხვა საკითხებს კი ეროვნული დამფუძნებელი კრებები გადასჭრიან.

### კადეტების დეკლარაცია

**ვ. ხემიონოვი.** მე ამიერ-კავკასიის ამბებს სრულიად რუსეთის მაშტაბით გავზომავ. მე მწამს, რომ ამიერ-კავკასია საერთოდ თავს ვერ დააღწევს. რევოლუციის პირველ დღეებში ყველა აღტაცებული იყო საერთო მიზნებით. შემდეგ საერთო მიზნები ეროვნულ სეპარატიულ გამოსვლებზე გადახურდავდა და მან წახდინა საქმე... და დღეს დამოუკიდებელ ამიერ-კავკასიაში ვცხოვრობთ.

სეიმის არსებობა აუცილებელია, მაგრამ სეიმს უნდა ახსოვდეს, რომ ამიერ-კავკასია მხოლოდ და მხოლოდ ნაწილია რუსეთის. მე კიდევ მწამს, რომ რუსეთის მთლიანობა აღდგენილი იქნება. სეიმმა უნდა დაამკვიდროს ძლიერი მთავრობა, მაგრამ ამასთანავე სეიმი არ უნდა წავიდეს ეროვნული საბჭოების წინააღმდეგ. სეიმმა უნდა გააერთიანოს ეროვნულად დაყოფილი ჯარები და შექმნას ამიერ-კავკასიის ლაშქარი. ომის გათავების შემდეგ ჯარების წასვლის შემდეგ უნდა გაუქმებულ იქმნან ჯარის-კაცთა საბჭოები. მუშათა საბჭოებმა რასაკვირველია უნდა იარსებონ მაგრამ ისინი უნდა არსებობდნენ როგორც პროფესიალი ორგანოები და მათ ზედამხედველობის ქვეშ არ უნდა მოქმედობდეს სეიმი. ასე ამრიგად სეიმმა უნდა დააწესოს ამიერ-კავკასიაში დროებითი მთავრობა. როდესაც რუსეთის მთლიანობა აღდგენილ იქნება, ეს მთავრობა უნდა შეიცვალოს იმ ორგანოთი, რომელსაც დაამკვიდრებს ცენტრი. უნდა გაერთიანდეს ეროვნულად დაქსაქსული ჯარი. უნდა დაწესდეს ადმინისტრატიული. უნდა მოხდეს ადმინისტრატიული გადამიჯვნა და უნდა შემოღებულ იქმნას ერობა.

### ეროვნული დემოკრატების დეკლარაცია

**გვაზავა.** აქ მრავალი სიტყვები წარმოითქვა, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ არც ერთს მე არ ვიზიარებ. კადეტების წარმომადგენელმა მთლიანი ფრონტის აღდგენაზე ილაპარაკა. თქვენ კარგათ იცით მთლიანი დემოკრატია რუსეთში არასოდეს არ არსებობდა. ეს ნათლად დაამტკიცა პეტროგრადის ამბებმა. კადეტები იმედს კიდევ არ კარგავენ, და ხელახლად ებღაუჭებიან რუსეთის დამფუძნებელ კრებას. ეს ყველაფერი ოცნებებია და ეს ოცნებანი უნდა მოვიშოროთ, თუ ჩვენ მოვითხოვთ რუსეთის მთლიანობის აღდგენას, მაშინ ჩვენ ომი უნდა გამოვუცხადოთ ყველა იმ ახალ სახელმწიფოებს, რომელთაც თავი დააღწიეს რუსეთის მონობას. ჩვენ ომი უნდა გამოვუცხადოთ უკრაინას, ფინლიანდიას და სხვ. კადეტები ეხლა მღერიან ერთა თვით-გამორკვევაზე, მაგრამ ჩვენ ვიცით რომ კადეტები ოცნებობდენ სტამბოლის აღებაზე (საერთო ტაში). ამტკიცებდენ რომ რევოლუცია შედეგი იყო კლასობრივ ბრძოლისა. მეკი ვამტკიცებ, რომ ხდება ისეთი მომენტები, როცა კლასობრივი ბრძოლა პირველობას ეროვნულ ბრძოლას უთმობს. რუსეთის რევოლუციამ ყველა ერს მიანიჭა თვით-გამორკვევის უფლება. მაგრამ ამ იდეას არავინ არ ახორციელებდა. ჩვენი მენშევიკებიც კლასობრივი ბრძოლით აღრმავებდენ რევოლუციას და ეროვნულ საკითხს სრულებით ივიწყებდენ. ამ მოვლენამ კი ანარქიამდე მიგვიყვანა.

**რუსეთის რევოლუციის** პირველი მიზანი, ეს ეროვნებათა განთავისუფლებაა. ამიტომ მე არ შემიძლია გავჩუმდე საქართველოს მდგომარეობაზე. 1783 წ. ტრაქტატით საქართველო შედის საერთაშორისო უფლებაში. ამ ტრაქტატზე ლაპარაკობს 1855 წელს ომარ ფაშა და ეს ტრაქტატი იყო მოხსენებული პარიზის კონგრესში. ამ ტრაქტატით იზომება საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა და ტრაქტატი ჩვენ გზას გვიხსნის ევროპის კონფერენციისაკენ.

სეიმმა უნდა გადასჭრას მხოლოდ ის საკითხები, რაც სავალდებულოა ამიერ-კავკასიისთვის, მაგალითად ეროვნული და ზავის საკითხი. სხვა საკითხები თვითეული ერის დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასჭრას. სეიმმა უნდა შექმნას მთავრობა ანუ სამინისტრო, მაგრამ ეს სამინისტრო პასუხისმგებელი უნდა იყოს სეიმის წინაშე.

არაფერს ვამბობ მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოებზე. მოვა დრო, როცა ისინი ხელს შეუშლიან საერთო საქმეს. აღმასრულებელი ძალა თავისუფალი უნდა იყოს და მე მხოლოდ ამის თქმა მინდა.

**მიწის საკითხში,** მე როგორც ეროვნულ-დემოკრატი, არც ერთის აზრს ვიზიარებ. მთელი ქონება ეკუთვნის ხალხს. თუ თქვენ უფასოდ ჩამოართმევთ ქონებას და უფასოდ დაურიგებთ ხალხს, ეს შექმნის ანარქიას. ამას გარდა მე საკითხს ვუყურებ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. ნ. ჟორდანიამ განაცხადა, რომ სოფელში გაფანტული ქაღალდის ფულია და ფინანსიური პოლიტიკა მოითხოვს, ეს ქაღალდის ფული ხაზინამ დაიბრუნოს. მიწის გამოსყიდვით ფინანსიური მდგომარეობა გაუმჯობესდება. ამას გარდა აღსანიშნავია, რომ ანაწილებენ მხოლოდ სოფლის მამულს, ხმასაც არ იღებენ, ქალაქის სიმდიდრის განაწილებაზე. რაკი ანაწილებთ, ყველაფერი გაინაწილეთ. ჩემი შეხედულება სახელმწიფოებრივია და მე არამც თუ ნაციონალისტი ვარ, არამედ დემოკრატიც.

დასასრულ ნ. რამიშვილმა წაიკითხა ტეზისები ნ. ჟორდანიას მოხსენებიდან და სხდომა ამით დასრულდა.

## თებერვლის 16-ის სხდომა

სხდომა დაიწყო სასახლის თეთრ დარბაზში.

თავმჯდომარეობს კ. ჩხეიძე. განსახილველია ზავის საკითხი. მომხსენებლად გამოდის ნ. რამიშვილი, საზავო კომისიის თავმჯდომარე.

## ნ. რამიშვილის სიტყვა.

მოქალაქე წევრნო სეიმისა!—დაიწყო მან, ზავის საკითხი მეტად სერიოზულია და დიდმნიშვნელოვანი. ოქტომბრის ამბების შემდეგ ამიერ კავკასია მოსწყდა რუსეთს და იძულებული შეიქმნა თვითონვე განეძღოლა თავის საქმეებს, როგორც შინაურს ისე საგარეოს, ამიერ კავკასიის მთავრობას მოუხდა რამდენიმე მნიშვნელოვან ნაბიჯის გადადგმა, მთავრობა შეეცადა გაემართა მოლაპარაკება ზავის შესახებ ოსმალეთთან, ჩამოეგდო მასთან დროებითი ზავი, ერთი სიტყვით, ნიადაგი შეემზადებინა მუდმივ ზავისთვის. ამიერ კავკასიის მთავრობის წინ არჩეული გზა ერთად-ერთი გამოსავალი იყო იმ გასაჭირიდან, რომელიც შექმნა ბოლშევიკურმა მთავრობამ. უკანასკნელმა, დაიწყო საზავო მოლაპარაკება გერმანიასთან. მაგრამ ზავის შეკვრის დროს სრულიად უგულებელჰყო ის საკითხი, რომელიც ჩვენ გვეხება და გვაღელვებს, საკითხი ზავისა ოსმალეთთან. იმ ხელშეკრულების მეხუთე მუხლში რომელიც გადაეგზავნა სახალხო კომისრების საბჭოს ხელის მოსაწერად, ნათქვამია, რომ რუსეთი შეძლებისამებრ იზრუნებს ოსმალეთს აღუდგეს აღმოსავლეთ ანატოლიის საზღვრები და კაპიტულიაცია მოსპობას. ნუ დავხუჭავთ თვალთ, სინამდვილეს აშკარად შევხედოთ. ამ ხელშეკრულებიდან ცხადად სჩანს, რომ იგი სრულებითაც არ ეხება ჩვენს ქვეყანას. იქ ნახმარია ასეთი თქმა: რუსეთი შეძლებისამებრ ზრუნავსო. ამგვარად ამიერ კავკასიას ოსმალეთთან ზავის საკითხში თვითონ უნდა ეზრუნა და კომისარიატიც უფლებამოსილ სეიმის შეკრებას ელოდა.

თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენი ფრონტი გაშიშვლებულია სახ. კომის. საბჭოს პოლიტიკის მეოხებით. ამ საბჭომ გამოაცხადა სრული დემობილიზაცია. ასეთ პოლიტიკის გამო სხვა ფრონტებთან ერთად კავკასიის ფრონტიც გაშიშვლდა. მართალია, ამიერ-კავკასიის დემოკრატია და მისი წარმომადგენელი—კომისარიატი ამას შეებრძოლა, მაგრამ სტიქიურ ძალას ბუნებრივად ადებული გეზი ვეღარ შეუცვალა.

რაკი სახ. კომ. საბჭომ ღიად დასტოვა ოსმალეთთან ზავის საკითხი, მაშინ იბადება კითხვა: როგორ მოვიქცეთ? ჩვენ ვიცით, რომ რუსეთმა გამოუცხადა ომი ოსმალეთს. რუსეთის ეხლანდელი ბოლშევიკური მთავრობა კი—ოსმალეთთან ომის დასრულებაზე არავითარ საშუალებას არ ხმარობს. არაფერს ფიქრობს. თუ კი ბოლშევიკები მოვალეებად არ სთვლიან თავის თავს ომი აწარმოონ, ჩვენ რაღად უნდა ვეომოთ ოსმალეთს? აქ ძალთა განწყობილების საკითხი არ არის, რაზედაც მივაქცევ თქვენს ყურადღებას. არა, ამიერ-კავკასიის დემოკრატია წინა აღუდგება ყოველ გვარი იმპერიალისტურ მიდრეკილების რომელიმე სახელმწიფოსას, ამ შემთხვევაში, თუნდ ოსმალეთისას. მაგრამ საკითხი, ვიმეორებ, ასე არ არის დაყენებული.

კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არც სეიმის და არც ამიერ-კავკასიის მკვიდრთა ინტერესი არ მოითხოვს ომის წარმოებას.

მეორე საკითხია სეიმის უფლებამოსილება. შეუძლიან მას თუ არა საზავო მოლაპარაკება დაიწყოს? კომისიამ მიიღო მხედველობაში ის განსაკუთრებული პირობები, რომელშიაც დღეს ვიმყოფებით, და სცნო, რომ სეიმი უფლება-მოსილია ზავი ჩამოაგდოს ოსმალეთთან.

როგორი ზავი დაიდოს? დროებითი, პრელიმინარული თუ მუდმივი? პირველ ხასიათის ზავი საიმედო არ არის და არც სასურველია. ამიერ-კავკასიის დემოკრატიას არავითარი საბუთი არა აქვს ისეთ სახიფათო გზას დაადგეს, რომელიც მეტად სერიოზული და პასუხის საგებელი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის. რაც შეეხება მუდმივ და საბოლოო ზავს, ასეთი ზავი სასარგებლოა ჩვენთვისაც და ოსმალეთისათვისაც. თუ უკანასკნელს ნამდვილად სწყურია ორივე მეომარი მხარისთვის საპატიო ზავი, თუ ის დაინტერესებულია ჩვენ შორის დამყარდეს კეთილ მეზობლური ურთიერთობა, მაშინ ჩამოვარდება საბოლოო ზავიც.

საფუძვლად ჩვენ ხელშეკრულებას ვდებთ იმ კონიუქტურას, რომელიც არსებობდა ომის გამოცხადებამდე 1914 წელს. ამიტომ მოვითხოვთ აღსდგეს ის სახელმწიფოებრივი საზღვრები, რომელიც ომამდე არსებობდა რუსეთ-ოსმალეთის შუა.

ოსმალეთის აღდგენა 1914 წლის საზღვრებში ეს ერთად-ერთი გამოსავალია, რომელსაც ჩვენ დავიცავთ, რათა უზრუნველვყოთ მშვიდობიანი განვითარება ჩვენი და მისი. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ზავი ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის აღიარებით, და დელეგაციას, რომელსაც აქედან გავგზავნით, სრული უფლება ექნება მოითხოვოს აღმოსავლეთ ანატოლიის ყველა ერისთვის ამ თვითგამორკვევის უფლება.

კერძოდ ოსმალეთის სომხეთისთვის ჩვენ მოვითხოვთ ავტონომიას.

კომისიაში აღიძრა აგრეთვე საკითხი ასურეთზე, ანუ აისორებზე, რომელთა რაოდენობა 80—90 ათას სულს აღწევს ერთს სანჯაყში. ოსმალეთისგან შევიწროვებულნი ისინი სამშობლო კერას მოწყვეტილან და სპარსეთში გადახვეწილან.

**ლაზისტანის** შესახებაც იყო ლაპარაკი კომისიაში და დელეგაცია სხვა ერთა ბედის მოწესრიგების დროს აღძრავს აგრეთვე საკითხს ლაზისტანის შესახებაც. მაგრამ სომხეთის ავტონომია და ამ ერების თვითგამორკვევა, რომელსაც ეხლა ვახსენებთ, უნდა მოხდეს ოსმალეთის სახელმწიფოებრივ ჩარჩოში.

ჩვენ აქ განზრახ არ ვახსენეთ ძალა. რა ძალა იქნება ის ძალა, რომელსაც დაეყრდნობა ჩვენი დელეგაცია? შეიარაღებული ძალა? ერთის შეხედვით, ჩვენ თითქოს ამ მხრით არა გვაქვს რა, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ არის ერთი უძლეველი ძალა, რომელსაც ჰქვიან ხალხთა ერთობა და რომელსაც ჩვენ დავეყრდნობით, და თუ ჩვენ აქ, ამიერ-კავკასიის სეიმში, მოვახერხეთ ერთი ენით ამეტყველება, მაშინ ჩვენს დელეგაციას ისეთი ძალა ექნება, რომელსაც ყველა ანგარიშს გაუწევს.

**სემიონოვი** (კ.-დ.) ამტკიცებს, რომ კავკასია განუყოფელი ნაწილია რუსეთისა, ხოლო რუსეთს ჰყავს თავის მოკავშირე სახელმწიფონი, რომლებთანაც დაკავშირებულია სხვა და სხვა ხელშეკრულებით. ამათ ძალას აღიარებდა დროებითი მთავრობა, რომელიც ამიერკავკასიას სწამდა. მაშ ნუ დავარღვევთ მათ, დავიცავით იგინი წმინდად და ზავი ჩამოაგდეთ არა სეპარატიულად, არამედ რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლების თანხმობით და თანადასწრებით. ამ მხრივ უფრო გასაგებია ჩემთვის გვაზავას აზრი, რომელიც ამბობს, ჩვენ რუსეთთან აღარ ვართ და არავითარი ხელშეკრულება აღარ არსებობსო. (გვაზავა ადგილიდან შენიშნავს: ნამდვილია?) მაგრამ არ მესმის მე იმათი, რომელნიც 3 საათზე იძახიან რუსეთის მთლიანობას, ხოლო 10 საათზე, ე. ი. 7 საათის შემდეგ უკვე ოსმალეთის ფედერაციაში შესვლაზე ლაპარაკობენ.

**გ. გვაზავა.** (ნაც.-დემ.) მე სრულებით არ მოველოდი, რომ აქ ილაპარაკებდენ. კომისიაში იმდენი ვილაპარაკეთ, რომ ყველას ხმა წაგვივიდა. აი დაჰხედეთ მეც დავხრინწიანდი (სიცილი). სემიონოვმა ჩასჭიდა ხელი ერთს მუხლს—ზავი პრელიმინარული იქნება თუ საბოლოო—და აქედან, ამ რედაქციის მხრივ უხერხულად ნახმარ სიტყვაზე ბოლოს და ბოლოს შეჰქმნას ის რუსული იმპერიალიზმი რომელიც ჩვენ სამუდამოდ დამარხული გვეგონა (ტაში). სემიონოვი ლაპარაკობდა აგრეთვე პოლიტიკურ ზნეობაზე და ხელშეკრულებათა სიწმინდეზე. როგორ არ სცხვენიან, რომ აქ, ტფილისში, საქართველოს დედაქალაქში, ბედავს ხელშეკრულებასა და სიწმინდეზე ლაპარაკობს?! (ძლიერი ტაში). ეს საერთაშორისო ხულიგანობაა.

**კ. ჩხეიძე.** გთხოვთ მაგისთანა სიტყვებს ერიდოთ.

**გ. გვაზავა.** ჩემის სიტყვას: გეგეჭკორმა ერთხელ სთქვა. რომ ეს ფრაზა პარლამენტარული გამოთქმაა. (სიცილი).

**კ. ჩხეიძე.** სეიმის წევრო გვაზავა, მოგიწოდებთ წესიერებისკენ.

**გ. გვაზავა.** ჩემი სიტყვის აზრი ის იყო, რომ მეთქვა ორიოდე სიტყვა ლაზისტანზე. ლაზისტანი საქართველოს ნაწილია და მისი მოწესრიგება უნდა მიენდოს საზავო დელეგაციას.

**ა. ი. ხატისოვი** (დაშნაკ.). ჩვენ რამიშვილის მოხსენებას და განცხადებას ვეთანხმებით. მსურს ორიოდე სიტყვით ვუპასუხოთ სემიონოვს. ჩვენ სომხებს, მეორე ყველა ერზე ძალიან გვწყურიან ზავი. ჩვენ გვსურს შევიგნოთ ჩვენს მამა-წყალზე სოციალური რეფორმები და დავეხმაროთ სოციალისტურ პრობლემებს. ჩვენ ყოველთვის ლოიალები ვყოფილვართ იმ სახელმწიფოში, რომლის ნაწილს ჩვენ შევადგენთ. ამ მხრით არავითარი წინააღმდეგობა აზრებისა და ცვალებადობა 7 საათის განმავლობაში, რომელსაც ჩვენ პარტიას უკიჟინებს სემიონოვი, არ არის. აქ სთქვეს, რომ ჩვენ რუსეთს ვშორდებით. არა, რუსეთი თითონ გვშორდება, თითონ დაგვტოვა საკუთარ თავის ანაბარად.

**შეიხ-ულ-ისლამოვი** (პარტია „ჰუმეტ“). ჩვენ რუსეთისაგან კი არ ვიმიჯნებით, არამედ იმ ანარქიისაგან, რომელიც იქ გაძლიერებულია. მე არ მესმის ის მუქარა, რომელსაც სომხებს უთვლის ხალხის თავისუფლებას წარმომადგენელი—ოსმალეთის სომხეთი საერთაშორისო საკითხის ხასიათს ღებ. კარენვიცი. არა. იმპერიალისტურ რუსეთს და პავლე მილიუკოვს სომხეთის განთავისუფლება კი არ უნდოდათ, არამედ მარტო სომხეთი. სხვას უკიჟინებთ ცვალებადობას აზროვნებაში, მაგრამ მოიგონეთ 27 მარტი. როცა თქვენმა პარტიამ გვირგვინი მოიგლიჯა და რესპუბლიკა მიიღო. ვინ იცვლის პრინციპებს და აზრებს?

**რასულ-ზადე** („მუსავატი“) უპასუხებს სემიონოვს და იცავს სომხებს. ჩვენ—ამბობს იგი შემდეგ—მუდამ იმ დევიზისა ვიყავით, რომ შენც იცხოვრე და სხვაც აცხოვრე. ამის მიხედვით მოვითხოვთ ოსმალეთის სომხეთისათვის თვითგამორკვევის უფლებას (ტაში) და როცა, გამოვსთქვამთ საზოგადო დემოკრატიულ ენას, ეს იქნება საუკეთესო თავმდები ჩვენის გამარჯვებისა. თქვენ ინგლისსა და საფრანგეთისკენ მიგვითითებთ, მაგრამ ის ინგლისი არ იყო, რომელმაც სომხებს უპასუხა: ჩვენი გემები თქვენ მთებზე ვერ ივლიანო? (ტაში). ჩვენ ვერ დავიცავთ წმინდად მილიუკოვის ხელშეკრულებას, რადგან ის ძალიან ძვირად გვიღირს, მაგრამ გვწამს და ვესახურებით დემოკრატიის ნამდვილ ინტერესებს. (ხანგრძლივი ოვაცია).

**კ. ჩხეიძე** ლაპარაკი სხვას აღარ სურს. სიტყვა ეძლევა მომხსენებელს ნ. რამიშვილს.

**ნ. რამიშვილი** ორიოდე სიტყვით უპასუხებს სემიონოვს, შემდეგ კითხულობს საზავო ძირითად დებულებებს, რომელიც საზავო კომისიამ შეიმუშავა და სთხოვს სეიმს დაამტკიცოს ეს დებულებანი.

დებულებანი ასეთია:

1. ამიერ-კავკასიის სეიმი შექმნილ პირობებში უფლება-მოსილად სცნობს თავის თავს ჩამოაგდოს ოსმალეთთან ზავი.

2. ამიერ-კავკასიის სეიმი, შეუდგება საზავო მოლაპარაკებას, თავის მიზნად მუდმივი ზავის შეკვრას ისახავს.

3. საფუძვლად საზავო ხელშეკრულებისა უნდა დაედოს განახლება სახელმწიფოებრივ საზღვრებისა რუსეთსა და ოსმალეთის შორის. ომის გამოცხადების დროს 1914 წელს რომ არსებობდა.

4. დელეგაცია შეეცდება აღმოსავლეთ ანატოლიის ერებისთვის მოითხოვოს თვითგამორკვევის უფლება, კერძოდ ოსმალეთის სომხეთს მიეცეს ავტონომია ოსმალეთის სახელმწიფოს ჩარჩოებში.

**გვაზავას** შეაქვს შესწორება მეორე მუხლში ამ სიტყვების ჩამატებით: „ოსმალეთის სომხეთს და ოსმალეთის საქართველოს (ლაზისტანს) მისცეს“.

**ნ. რამიშვილი.** ამ საკითხზე და აისორებზე იყო მსჯელობა კომისიაში, მაგრამ მეტად მწვავედ იყო დაყენებული ოსმალეთის სომხეთის საკითხი და ამიტომ დებულებებში მარტო უკანასკნელი მოვიხსენიეთ. ამ შესწორების შეტანის წინააღმდეგი ვართ არა პრინციპიალური მოსაზრებით, არამედ იმიტომ, რომ თვით ლაზებისგან ამის დასტური არ მიგვიღია.

გვაზავა ხსნის თავის შესწორებას.

ძირითად დებულებებს კენჭს უყრიან და ერთხმად იღებენ. თავმჯდომარე სხდომას 20 წუთით სწყვეტს 3 ს. 55 წუთზე.

სხდომის განახლების შემდეგ **მახტიევა და ადაევს** შეაქვთ შეკითხვა მთავრობისადმი, რომ ინგლისის მისია ამ დღეებში ქალაქში ჩამოვიდა, რომ ის ფულებს ხარჯავს და ცდილობს მოკავშირეთა სასარგებლოდ განწყობილება გამოიწვიოს, რათა ხელი შეუშალოს ამიერ-კავკასიის დემოკრატიისაგან განზრახულ ზავს.

**გეგეჭკორი,** კომისარიატის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა კომისარი, უპასუხებს შემკითხველებს, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობის შრომა და მუშაობა იქითკენ იყო წარმართული, რომ დაუხანებლივ შეკრული იქნეს დემოკრატიული ზავი ოსმალეთთან და რომ კომისარიატს ამ გეზისთვის არ უღალატნია. რაც შეეხება ინგლისის მისიის ტფილისში ჩამოსვლას, ამას ჰქონდა წმინდა კერძო ხასიათი, რასაც კომისარიატი, როგორც მას სხვა კერძო მუშაობას, რომელსაც აქ ახსენებდნენ, ხელს ვერ შეუშლიდა იმიტომ, რომ ინგლისი რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოდ ითვლებოდა. თუ ეხლა სეიმი მოისურვებს თავის დამოკიდებულების გამოთქმას, ეს სავალდებულო იქნება მთავრობისთვის, ხოლო დღევანდლამდე მთავრობას არავითარი უფლება არ ჰქონდა მიეღო ზომები მოსასპობად იმ მუშაობისა, რომელსაც ინგლისის მისია აწარმოებდა, რაზედაც მთავრობას დღესაც არ მოეპოვება ოფიციალური ცნობები. ჩვენი პოლიტიკა, დასძინა მთავრობის წარმომადგენელმა, ის იყო, რომ დამოუკიდებელი პოლიტიკა გვეწარმოებინა, სადაც ჩვენ ნაწილობრივ სპარსეთის მიმართ უკვე მივაღწიეთ: იქ რუსულ მისიაში ყოველგვარი ცვლილება ჩვენგან გამომდინარეობს. სეიმის დეპუტატები ასეთი განმარტებით კმაყოფილდებიან. რაც შეეხება საზავო დელეგაციის არჩევას, რადგან ამ საკითხში ფრაქციებმა შეთანხმება ვერ მოასწრეს, ამიტომ სეიმის სხდომა მეორე დღისთვის ინიშნება, დღის 1 საათზე, სასახლის თეთრ დარბაზში.

სხდომა სრულდება საღამოს ხუთნახევარ საათზე.

## წერილი რედ. მიმართ*)

### დეკ. ნიკიტა თალაქვაძის საპასუხოდ

დეკ. ნ. თალაქვაძემ, თორმეტ მარტიდან მოყოლებული, თავის „სასიქადულო მოღვაწეობის“ საგნად ჩემი ლანძღვა და თრევა გაიხადა. როდესაც ამის გამო მე მას კულტურული დამოკიდებულება მოვსთხოვე („საქართველო“ 1917 წ. № 263), თავმოწონედ განაცხადა რომ „არქიმანდრიტ ნაზართან სამღვდელო სამართალში გასვლა მეტად მიმაჩნია“ („საქართველო“ 1917 წ. № 276). ეხლა კი, როდესაც მისი ზნეობრივი ფიზიონომია საკმაოდ გამოვარკვიე („საქართველო“ 1918 წ. № 31), მან საჭიროდ დაინახა სამღვდელო სამართალი. ასეთი [illegible], მეტი რომ არა ვსთქვათ, გასაოცარია: როდესაც მე მაორეულად მლანძღავდა ჩვენი ხსენებული „მამულიშვილი“, ჩემთან სამღვდელო სამართალში გამოსვლა მისთვის სათაკილო იყო, ეხლა კი, როდესაც მე მას პირი ავუხსენი, არაა სათაკილო! მას შემდეგ, რაც დეკ. თალაქვაძემ სამღვდელო სამართალს უტიფრად გაექცა, მე, იძულებული შევიქენი ზნეობრივად გამეკილა ხსენებული გამომცხადებანი („საქართველო“ 1917 წ. № 280); ამით მან ყოველივე უფლება დაჰკარგა, ისეთ მაღალ და ფაქიზ ინსტიტუტისათვის მიემართა, როგორიც სინდისის სამართალია; განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თბილისის საეპარქიო სამღვდელოების კრებამ მე თანაგრძნობა და ნდობა გამომიცხადა („საქართველო“ 1918 წ. № 25); მიუხედავად ამისა მე დიდის სიამოვნებით ვეახლები მას წინააღმდეგ და ჩემის მხრივ შუამავალ-მსაჯულად ვასახელებ ბ. ბ. დავით გურამიშვილს და სვიმონ ქვარიანს, მხოლოდ შემდეგი პირობებით:

1) დეკ. თალაქვაძემ უნდა დაამტკიცოს ყველა ის ბრალდებანი, რომელიც მას წამოუყენებია ჩემს წინააღმდეგ 1917 წ. 15 ივლისის „მოხსენებაში“ და შემდეგ დროის საგაზეთო ინსინუაციებით.

2) მე მას დაუმტკიცებ, თანახმად მისი წინადადებისა, ჩემ მიერ წამოყენებულ ბრალდებათა („საქართველო“ 1918 წ. № 31) სინამდვილეს.

3) ვინც გამტყუნდება ჩვენ შორის ის ვალდებულია, [illegible] როგორც სამღვდელოების წრე, ისე თბილისი.

ნაზარი არქიმანდრიტი

---

*) ამ საგანზე ჩვენს გაზეთში დღეიდან აღარაფერი დაიბეჭდება, გარდა სამღვდელო სასამართლოს განაჩენისა.

## კალენდარი

### ოთხშაბათი, თებერვლის 21

**ქართ.** ღირ. მამ. ჩვ. ტიმოთესი; წმ. ნ. შორის მამ. ჩვენ. ევსტათი ანტიოქის მთავარ ეპისკოპოზისა.
**კათოლ.** წმ. ელეონორასა და სევერიანისა.
**სომეხ.** მარხვა.
**მაჰმად.** ჩარ-შამბე 22 რ. ჯემადულევველისა 1336 წ. ჰიჯრისა.
**ებრაელ.** ოთხშაბათი 22 რ. ადარისა 5678 წ. ქვეყ. შექმ.

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

# მთავარი კომიტეტი

იმყოფება სასახლის ქუჩაზე № 5, (გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის ბინა). ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის. ამ დროის განმავლობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულებ. მიტანა.

ექიმი
## მ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და ხახხის სნეულებისას სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „ორიანტის“ პირდაპირ.
თ—1018—1

კბილის ექიმმა
## მამულაიშვილი-ხოდნევისამ
განაახლა
ავადმყოფების მიღება.
10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.
ოლღას ქუჩა, № 22.
25—828—77

სამკურნალო კაბინეტი ექიმ
## ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნიუ“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ბერლინის უნივერსიტეტის
მედიცინის
დოქტორი
## გ. გ. მეჰრაბიანცი
შინაგან ავადმყოფობა — ფილტვის — ჰლევრის და გულისა. ახალს რენტგენის-ელექტრო-სინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა (ს. ი.) სხვებთ. დილის სოლენოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა შინაგანი სნეულებისათვის, პნევმოტორაქსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 5—7 ს., მებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92.
თ—986—15

ძველი ექიმი (მედ. ქალი) ეკატერინე
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი ინ. კაუფმანის კოლეჯისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.
ტელეფ. № 17—21.

ექიმი
## მ. ო. ზანდუკელი
ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კიშკინისა.
იღებს შინაგან და ნერვების ავადმყ. (ფსიხოთერაპია) სამშაბათობით, ოთხშაბ., ხუთშაბ. და პარასკევ. 3—5 საათ. ოლღას ქუჩა № 22.
თ—989—14

ექიმი
## დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის ყურის ყელის და ცხვირის ავადმყოფებს დილის 11 საათიდან ნაშუადღევს 1 საათამდე, საღამოს 5-დან 7-მდე.
მისამართი: მადათოვის ქუჩა № 17.
ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.
თ—907—6

სამკურნალო კაბინეტი
პ. ს.
## ფონ-ირტელისა
ქირურგიულ-ვენერიულ და კანის ავადმყოფობათა სპეციალი სამკურნალო წამლობა ელექტრონით და ოპერაციები, წამლობა „914“-ით და „606“-ით. ავადმყოფთა მიღება: 9—12 საათამდე დილით და 4½—8 საღამოთი. მიხეილის პროსპექტის კუთხე № 128, კრილოვის ქუჩა № 1. ოვანეზოვის სახლი. მეორე შესავალი კრილოვის ქუჩით.

ექიმი
## დიმიტრი (რამინ) იოსების ძე ჟორდანია
სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული ბალღამი და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. გურიის ქუჩა № 6, თაღუნტე.
1თ—960—9

# საავადმყოფო
სამხედრო ექიმ სპეციალისტების მოხიარული ავადმყოფებისთვის
დადიანის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 451.
ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.
ბეჟანოვი—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე
ბელანცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპიოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფიჩადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონსე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველდღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საბავშვო, ყოველდღე 2—3 საათამდე.
ოსეპიანი—ქალთა და სამშობიარო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველდღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტრილესკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე.
ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევასა—კბილის ექიმი ყოველდღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვასა—კბილის ექიმი დღეებში ყოველდღე 10—12 საათამდე.
100—920—88